ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

მსხვერპლისთვის არსებული სერვისების მონიტორინგი

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ფუნქციონირება პრაქტიკაში და არსებული გამოწვევები

სარჩევი

თავი I შესავალი ნაწილი	3
თავი II მსხვერპლის მიმართ სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები	5
თავი III ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის სერვისები	8
თავი IV სერვისების სისტემის წინაშე არსებული საერთო გამოწვევები და რეკომენდაციები	54
მსხვერპლთა ისტორიები ძალადობის ქრონიკა	61

თავი I

შესავალი ნაწილი

1.1. კვლევის აქტუალობა და არსი

ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობა, მთელი მსოფლიოს მსგავსად, ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა საქართველოში. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა, **ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობას შვიდიდან ერთი ქალი განიცდის,** ხოლო, თუ ძალადობის ყველა ფორმას გავაერთიანებთ, **საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა ოთხიდან ერთ ქალს განუცდია.**[1] ასეთი შემაშფოთებელი სტატისტიკა, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა, თავისთავად გულისხმობს უამრავი დაზარალებული ქალის არსებობას, რომელთა რეაბილიტაცია და მხარდაჭერა სახელმწიფოსა და საზოგადოების ვალია. ამ მიზნით, ქვეყანა ცდილობს მსხვერპლი ქალებისათვის გარკვეული სერვისების შეთავაზებას.

1.2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით ფონდმა „სოხუმმა“, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის „Brot für die Welt“-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2019 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ჩაატარა მონიტორინგი ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის არსებული სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი მსხვერპლთა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასევე 24 ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლებთან/სავარაუდო მსხვერპლებთან, სერვისის მიმწოდებელ პროფესიონალებთან, მათ შორის: სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების ხელმძღვანელებთან, სოციალური სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, ანკეტირების მეთოდით გამოიკითხა 50 მსხვერპლი, რომელთაც არ ჰქონიათ სახელმწიფო მხარდაჭერის მიღების გამოცდილება, იმ მიზეზთა გამოსავლენად, რაც ხელს უშლის წვდომას ამ სერვისებზე და 10 მსხვერპლი ქალი სერვისების მიმწოდებელ ორგანოებთან ურთერთობის გამოცდილებით, რათა შეეფასებინა მხარდაჭერის ეფექტიანობა. რესპონდენტთა საერთო რაოდენობა - 92.

მონიტორინგის განხორციელებისას გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ჩაღრმავებული ინტერვიუ, ანკეტირება. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები, ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები.

---

1 „ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში შვიდიდან ერთი ქალი ოჯახში ძალადობას განიცდის“ – https://bit.ly/369JHH6

თავი II

მსხვერპლის მიმართ სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები

ოჯახში ძალადობა ქალთა დისკრიმინაციის ძალზე გავრცელებული სახეა. **ქალთა დისკრიმინაციისგან დაცვა** და მათთვის მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა **გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.**

საქართველომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა **„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის (ე. წ. სტამბოლის კონვენცია)**[2] რატიფიცირებით, რომლის ერთ-ერთი მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის **მსხვერპლთა დაცვა და დახმარება.**[3] ამისათვის უნდა განხორციელდეს კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა, რომლის **ამოსავალ წერტილად მსხვერპლის უფლებები უნდა განიხილებოდეს.**[4]

მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებს ეძღვნება კონვენციის IV თავი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებს.[5] კონვენცია სახელმწიფოს ავალებს, მსხვერპლს მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ადეკვატური და დროული ინფორმაცია არსებული მხარდაჭერის სამსახურების შესახებ.[6] აგრეთვე, კონვენციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, სათანადო გეოგრაფიული განაწილების დაცვით, მსხვერპლისთვის უზრუნველყოს, ან შექმნას გადაუდებელი, მოკლე და გრძელვადიანი სპეციალიზებული მხარდაჭერის სამსახურები. ეს უკანასკნელნი გათვალისწინებული უნდა იყოს ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისა და მათი შვილებისთვის.[7]

კონვენცია განასხვავებს **მხარდაჭერის საერთო** და **სპეციალიზებულ სამსახურებს.** მხარდაჭერის საერთო სამსახურების ფარგლებში, მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომლებიც დაეხმარება მას ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში. აქ უნდა შედიოდეს ისეთი მომსახურება, როგორიცაა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფარი, განათლება, პროფესიული მომზადება და სამუშაოს მოძიებაში დახმარება. მსხვერპლს აგრეთვე ხელი უნდა მიუწვდებოდეს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე, ხოლო ამ სამსახურებს უნდა ჰქონდეს შესაფერისი რესურსები და ჰყავდეს მსხვერპლისთვის დახმარების გასაწევად სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები.[8]

სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ეხმიანება ადგილობრივი კანონმდებლობაც. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას მოჰყვა მთელი რიგი ცვლილებები საქართველოს ნორმატიულ აქტებში, მათ შორის, საქართველოს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერ-

---

2 ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

3 იქვე, ხაზი ჩვენია, მუხ. 1.გ

4 იქვე, მუხ. 7

5 იქვე, მუხ. 18.1-3

6 იქვე, მუხ. 19

7 იქვე, მუხ. 22

8 იქვე, მუხ. 20

პლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამ კანონის რეგულირების სფერო ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებსაც მოიცავს და მისი მიზანია **მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა.**[9] კონვენციით დადგენილი კომპენსაციის ვალდებულების გათვალისიწინებით, კანონით დადგინდა, რომ **2022 წლის 1 იანვრიდან მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილი იქნება, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან**, თუ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება მოძალადის ან/და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა წყაროებით.[10]

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა **2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა**[11]**.** იმ მიზნით, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებოდეთ და სარგებლობდნენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებებით, გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებას, რომელთა ამოცანაა სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) განკუთვნილი მომსახურებების გაუმჯობესება, მათ შორის: რეგიონებში კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოებას და სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური, რეაბილიტაციის სტანდარტიზების სახელმძღვანელოების შექმნასა და დანერგვას; იურიდიული დახმარების სერვისის მიწოდებას ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისთვის; სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მექანიზმის გაუმჯობესება/დახვეწას; თავშესაფრების, კრიზისული ცენტრების და ცხელი ხაზის მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდას 10-30%-ით.[12]

---

9 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 1; 2.დ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=16

10 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 17.დ

11 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0

12 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, მიზანი - 2 და ამ მიზნით განსახორციელებელი საქმიანობები

თავი III

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის სერვისები

ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის ხელმისაწვდომ ძირითად სერვისებს შორისაა: თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები, იურიდიული დახმარება, სოციალური დახმარება, ცხელი ხაზი.[13] ამ სერვისებს უზრუნველყოფს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება და აგრეთვე არასამთავრობო სექტორი. ქვემოთ განხილულია თითოეული **სერვისით უზრუნველყოფილი დახმარება** და **იდენტიფიცირებულია არსებული გამოწვევები.**

თვალნათელი პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი, რათა, ერთი მხრივ, მსხვერპლმა იცოდეს თავისი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებამ პატივი სცეს და დაიცვას ისინი. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმით გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა, შიდა უწყებრივი ტრენინგებისა და შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა ცალსახად არასაკმარისია და ვერ პასუხობს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს და ოჯახში ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. მსხვერპლთა უმრავლესობას დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად ჰქონდათ, იმ მსხვერპლებსაც კი, რომელთა საქმეში ჩართული იყო სოციალური მომსახურების სააგენტო ან/და სამართალდამცავი ორგანოები.[14] ამ მხრივ, გამოწვევები დღესაც არსებობს.

მსხვერპლის დასახმარებლად მიმართული ძალისხმევა ცალმხრივი იქნება, თუ არაფერი გაკეთდა მოძალადის რეაბილიტაციისთვის. სახელმწიფოს ამ მხრივ ვალდებულებებს სტამბოლის კონვენციაც აკისრებს, თუმცა შესაბამისი პროგრამების დანერგვა ჯერ კიდევ იგვიანებს. მოძალადის რეაბილიტაციის ცენტრებზე უარი ითქვა, რადგან სახელმწიფოს არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა მათ შესახებ. სხვა ქვეყნის გამოცდილებამ (ავსტრია) აჩვენა, რომ მოძალადის ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია არ ამართლებს, რადგან ისინი არ მიდიოდნენ ამ დაწესებულებებში.[15] ამერიკის ზოგიერთი შტატის მსგავსად, ასეთ ცენტრში მისვლა და რეაბილიტაციის პროგრამის გავლა მოძალადისთვის სავალდებულო უნდა იყოს. პრევენციისკენ მიმართული სერვისების დანერგვა დააზღვევდა მსხვერპლს მნიშვნელოვანი ზიანისგან. ძალადობის შემთხვევების ადრეული გამოვლენისთვის აუცილებელია საგანმანათლებლო, სამედიცინო, სოციალური და სხვა შუალედური რგოლის ჩართვა ძალადობის გამოვლენის პროცესში.[16]

---

13 აქ არ შეეხებით პოლიციის მიერ დანერგილ ისეთ სერვისს, როგორიცაა მსხვერპლისა და დაზარალებულის კოორდინატორი. ოჯახურ ძალადობაზე პოლიციის მუშაობის შეფასების შესახებ ვრცლად იხ. ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის დოკუმენტი: „სამართალდამცავი ორგანოების როლი და არსებული პრაქტიკა - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი“ - http://fsokhumi.ge/images/2019/7/pub/1/policia-el.pdf

14 საქართველოს სახალხო დამცველი - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, 2017 წ., გვ. 5, 15 - http://ombudsman.ge/res/docs/2019041111594648023.pdf

15 „ძალადობა, როგორც კულტურის ნაწილი“ - https://www.radiotavisupleba.ge/a/25264075.html

16 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 43 - https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

1.1. სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

კონვენცია ცალკე მუხლს უთმობს თავშესაფრების საკითხს, რადგან ასეთი სერვისის არსებობა ერთ-ერთი გადამწყვეტია მსხვერპლის სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის და ადგენს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს „საკმარისი რაოდენობის შესაფერისი და იოლად ხელმისაწვდომი თავშესაფრების გახსნა მსხვერპლისთვის, განსაკუთრებით, ქალებისა და მათი შვილებისთვის, უსაფრთხო საცხოვრებლის შეთავაზებისა და საკუთარი ინიციატივით მათთან ურთიერთობის დამყარების მიზნით.“[17]

თავშესაფარის სერვისი მართლაც ფუნდამენტურია და მთავარი ადგილი უჭირავს სახელმწიფო სერვისებს შორის. ამ სახის სახელმწიფო მხარდაჭერას საქართველოში სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში - სახელმწიფო ფონდი) უზრუნველყოფს.[18]

კანონის თანახმად, **თავშესაფარი** არის მსხვერპლთა **დროებითი საცხოვრებელი ან დროებითი განთავსების ადგილი,** რომელიც **ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას.**[19]

საქართველოში თავშესაფრები 2011 წლიდან ფუნქციონირებს.[20] ამ ეტაპზე ქვეყანაში 5 სახელმწიფო თავშესაფარია, აქედან 2 - თბილისის და ბათუმის[21], როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ასევე ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებია (თავშესაფრებია), ხოლო დანარჩენი 3 - სიღნაღის, ქუთაისის, გორის მხოლოდ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები).[22]

მსხვერპლის მოთავსებისა და რეაბილიტაციის წესს თავშესაფრის წესდება (შინაგანაწესით) განსაზღვრავს, რომელიც დაწესებულების საქმიანობას არეგულირებს.[23] მსხვერპლს თავშესაფრის სერვისით სარგებლობა შეუძლია 3 თვემდე. ეს ვადა, საჭიროებისამებრ, მსხვერპლის სურვილის გათვალისწინებით და თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით[24], შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3-3 თვის ვადით.[25]

---

17 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 23

18 „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიზანი - http://atipfund.gov.ge/geo/static/27/mizani

19 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 4.ი

20 „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების რიცხვი იზრდება“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/04/more-shelters-for-victims-of-domestic-violence-in-georgia

21 ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი - http://atipfund.gov.ge/geo/list/34/trefikingis-mskhverplta-tavshesafari

22 ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

23 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 17^2.3

24 იქვე, მუხ. 18.2

25 გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) შინაგანაწესი (სტანდარტულია), მუხ. 12.6 - http://atipfund.gov.ge/res/docs/gori_shinaganawesi.pdf

ოჯახში ძალადობის მსხვერპლს თავშესაფარი უზრუნველყოფს ნორმალური არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით, ოთხჯერადი კვებით, ჰიგიენის საშუალებებით, ტანსაცმლით, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურებით, სოციალურ რეინტეგრაციაში დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში - თარჯიმნის მომსახურებით. მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანი გარანტიაა ისიც, რომ თავშესაფარში ყოფნისას შეუძლია ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით. თუმცა შეჩერების ვადა შედარებით მცირეა და წელიწადში 30 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.[26] ამ დროის განმავლობაში მსხვერპლს უნარჩუნდება სამსახური ხელფასის გარეშე.[27] ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები უსაფრთხო და კეთილმოწყობილია, შექმნილია ბავშვთათვის აუცილებელი პირობები. ძალადობის მსხვერპლ ქალებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად სთავაზობენ პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებაში დახმარებას. ყველა ბენეფიციარს ინდივიდუალურად უდგებიან.[28]

გაეროს ქალთა ორგანიზაციის აზრით, თავშესაფრების ტერიტორიული დაფარვის არეალისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მეტი მუშაობაა საჭირო, მათ შორის, თავშესაფრების ბენეფიციარების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უკეთ მოსამზადებლად უფრო კომპლექსური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი.[29] საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმების ნაწილი მოუწოდებს ხელისუფლებას, გაზარდოს მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობა.[30]

სახელმწიფო თავშესაფრები მხოლოდ მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებისთვისაა განკუთვნილი. სტატუსის მისაღებად არსებობს შემდეგი გზები: მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი საბჭო; დაზარალებულად ცნობის დადგენილება; შემაკავებელი და დამცავი ორდერები.

თუ მსხვერპლს არ სურს თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან, მას შეუძლია მიმართოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს, რომელიც მისთვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე იღებს გადაწყვეტილებას. ამგვარი სტატუსი მოქმედებს 18 თვის განმავლობაში, ხოლო თუ მსხვერპლი თავშესაფრით სარგებლობს – მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების ვა-

---

26 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 17.1.ზ

27 საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, მუხ. 36.1, 36.2. თ, 36.4 – https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=12

28 „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“, გვ. 8 - https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/geo_full.pdf

29 „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების რიცხვი იზრდება“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/04/more-shelters-for-victims-of-domestic-violence-in-georgia

30 პოლიტიკის დოკუმენტი „სოციალური მომსახურება - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი“, გვ. 4 - http://www.parliament.ge/uploads/other/75/75664.pdf

დით.[31] სამართალდამცავი უწყებების გვერდის ავლით მსხვერპლის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანია, რადგან, სტამბოლის კონვენციის თანახმად, მომსახურების გაწევა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ბრალი წაუყენოს, ან ჩვენება მისცეს ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ[32].

კრიზისული ცენტრი სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია და ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას.[33]

კრიზისული ცენტრი ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით: ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაცია, სამედიცინო მომსახურება, სამართლებრივი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურება. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია 3 თვემდე ვადით, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით. თავშესაფრის მსგავსად, კრიზისულ ცენტრში ყოფნისას მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით.

კრიზისული ცენტრი სადღეღამისო მომსახურების დაწესებულება არ არის და, თავშესაფრისგან განსხვავებით, სავარაუდო მსხვერპლს საცხოვრისით არ უზრუნველყოფს. გამონაკლისია თბილისის კრიზისული ცენტრი, რომელიც, განსაკუთრებით მაღალი რისკების შემთხვევაში 12 დღემდე ვადით, ითვალისწინებს საცხოვრისით უზრუნველყოფას. ასევე, თავშესაფრისგან განსხვავებით, კრიზისული ცენტრების სერვისის მისაღებად მსხვერპლის ოფიციალური სტატუსი საჭირო არ არის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა მომსახურების ანონიმურობა. კრიზისული ცენტრით სარგებლობა სამართალდამცავებისთვის შეტყობინების გარეშეცაა შესაძლებელი. თითოეულ კრიზისულ ცენტრს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და იურისტი ჰყავს. ისინი კომპლექსურად მუშაობენ, კონკრეტულ შემთხვევას მულტიგუნდის პრინციპით სწავლობენ და ხშირად სავარაუდო მსხვერპლისთვისაც შეუმჩნეველ პრობლემებს გამოკვეთენ.[34]

მსხვერპლის სტატუსის არქონისას, კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი სპეციალური კითხვარის საფუძველზე დაადგენს ამ პირის მიმართ ოჯახის წევრის მიერ ოჯახში ძალადობის განხორციელების სავარაუდო ფაქტს. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია არაუმეტეს 12 სამუშაო დღის ვადით[35]. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემ-

---

31 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 16^1. 1, 3

32 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ.18.4

33 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 18^1.1-2

34 „კრიზისული ცენტრები - მნიშვნელოვანი მომსახურება ძალადობის მსხვერპლებისთვის“- https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/crisis-centres---an-important-service-for-victims-of-violence

35 გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) შინაგანაწესი, მუხ. 21.1 - http://atipfund.gov.ge/res/docs/gori_shinaganawesi.pdf

თხვევაში, როცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დადგენისთვის დაწყებული პროცედურები არ არის დასრულებული. ასეთ შემთხვევაში კრიზისული ცენტრით სარგებლობის ვადა გაგრძელდება პროცედურების დასრულებამდე.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პირველი კრიზისული ცენტრი სახელმწიფო ფონდმა თბილისში 2016 წელს გახსნა.[36] მანამდე სახელმწიფოს ეგიდით მოქმედი კრიზისული ცენტრი არ არსებობდა და მსგავს სერვისებს, ძირითადად, არასამთავრობო სექტორი უზრუნველყოფდა. კრიზისული ცენტრების შექმნით სახელმწიფომ უპასუხა იმ მსხვერპლთა მოთხოვნილებებს, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებლის პრობლემა, მაგრამ სხვა ტიპის დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ. ქვეყანაში, ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ მართული 5 კრიზისული ცენტრია[37] (თბილისის, ქუთაისის, გორის, მარნეულის, ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრები). მომავალში იგეგმება მათი რაოდენობის გაზრდა.[38]

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების შესაბამისად, იზრდება იმ ადამიანების რაოდენობაც, ვინც ამ სერვისებით სარგებლობს. 2019 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, თავშესაფრის საცხოვრისის (24 საათი ზრუნვის) სერვისით 319 პირმა (ზრდასრული/არასრულწლოვანი მსხვერპლი და დამოკიდებული პირი) ისარგებლა. ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაციით - 228, სამედიცინო დახმარებით - 143, ხოლო იურიდიული დახმარებით - 144 პირმა. თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა მზარდია[39]. რაც შეეხება კრიზისულ ცენტრებს, მათ ამავე პერიოდში, საერთო ჯამში, 185 პირს გაუწიეს მომსახურება.[40]

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა უახლესი სტატისტიკის მოძიება, თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ მოძალადესთან უკან დაბრუნებულ ქალთა რაოდენობის შესახებ[41]. საშუალოდ, დაზარალებულზე ერთზე მეტი დამოკიდებული პირი მოდის და თავშესაფრის დატოვების შემდეგ მსხვერპლს უწევს მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად ახალი საცხოვრებლის ძიება.[42] ეს ნათლად აჩვენებს, რომ არასრულწლოვანი შვილები, როგორც წესი,

---

36 „თბილისში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პირველი კრიზისული ცენტრი გაიხსნა“ - https://bit.ly/2GaUfet

37 კრიზისული ცენტრი - http://atipfund.gov.ge/geo/static/238/krizisuli-centri

38 „ძალადობის მსხვერპლთათვის საქართველოში სამი ახალი კრიზისული ცენტრი გაიხსნა“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/01/three-new-crisis-centers-for-survivors-of-violence-open-in-georgia

39 თავშესაფრით და მის ბაზაზე არსებული მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა (ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული) სტატისტიკური მონაცემები 2010 წლიდან იხ.:
http://atipfund.gov.ge/res/docs/zaladobis-statistika-2019-IIIkv.pdf

40 კრიზისული ცენტრების მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკური ინფორმაცია დეტალურად იხ.:
http://atipfund.gov.ge/res/docs/krizisulis-statistika-2019-IIIkv.pdf

41 სტატისტიკით, 2014 წელს თავშესაფრის დატოვების შემდეგ დაახლოებით 60% უკან, ოჯახში ბრუნდებოდა - https://www.radiotavisupleba.ge/a/25264075.html

42 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 31-32

დედის პასუხისმგებლობაა და მსხვერპლ ქალს მარტო უწევს პრობლემებთან გამკლავება, რაც მას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის და აიძულებს მათ, უკან დაბრუნების მძიმე გადაწყვეტილება მიიღონ და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რეალური რისკის ქვეშ იცხოვრონ.

სახელმწიფო ფონდი აქტიურად **მუშაობს კრიზისული ცენტრების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად,** მუდმივად მიმდინარეობს სერვისების დახვეწა და პერსონალის გადამზადება.[43] ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება აუცილებელია. ამას ადასტურებს ის **პარადოქსული ფაქტი,** რომ ოჯახში **ძალადობის პრობლემის სიმწვავის ფონზე სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ცოტა ბენეფიციარია.** თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე 21 ბენეფიციარის გამოკითხვის შედეგად, აუდიტის სამსახურმა გამოავლინა, რომ ამ დაწესებულებებში მოხვედრამდე ბენეფიციართა **მხოლოდ 10% ფლობდა ინფორმაციას ოჯახში ძალადობისგან დაცვის საშუალებების შესახებ**, ხოლო **ბენეფიციართა 52%-მა საერთოდ არ იცოდა ამ მექანიზმების არსებობა.**[44]

ბენეფიციართა სიმცირის მიზეზი, ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, მსხვერპლთათვის სერვისების შეუსაბამობაც შეიძლება იყოს. 2018 წელს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებულმა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მონიტორინგმა აჩვენა, რომ გამოწვევაა მსხვერპლის **უსაფრთხოების გრძელვადიანი დაცვა, თავშესაფრის დატოვების შემდგომ განმეორებითი ძალადობის შიში;** საზოგადოებაში არსებული **სტერეოტიპული შეხედულებები.**[45] **ბენეფიციართა 80% მიმართავს ადმინისტრაციას ვადის გაგრძელების თხოვნით**, რაც ეჭვქვეშ აყენებს მსხვერპლთა დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მზაობას.[46]

---

43 „კრიზისული ცენტრები - მნიშვნელოვანი მომსახურება ძალადობის მსხვერპლებისთვის“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/crisis-centres---an-important-service-for-victims-of-violence

44 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 42-43

45 სახალხო დამცველი - ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში, 2018 წ., გვ. 8 - http://www.ombudsman.ge/res/docs/2019051715551159482.pdf

46 იქვე, გვ. 13

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

თავშესაფრები, ფაქტობრივად, **უმთავრესი სერვისია, რასაც სახელმწიფო მსხვერპლს სთავაზობს.** ეს დაადასტურეს წინამდებარე მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულმა რესპონდენტებმაც, ოჯახური ძალადობისას, მსხვერპლისათვის უმნიშვნელოვანესია დროებითი თავშესაფარი, რათა შეძლოს დროებით მოადუნოს გონება და არ იფიქროს მწვავე ყოფით პრობლემებზე. სხვა პროვაიდერების მიერაც აღინიშნა, რომ ***„ეს სერვისი დღემდე შეუცვლელია ეფექტიანობის თვალსაზრისით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან, ზუგდიდი).*** თავშესაფარში მოხვედრილმა მსხვერპლებმა ეს გამოცდილება აღწერეს, როგორც გადარჩენა: ***„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსხვერპლისათვის ასეთი მხარდაჭერა. როცა მოვედით, ვიყავით საშინელ მდგომარეობაში, ნაცემი, არ გვქონდა ტანსაცმელი და სხვა ნივთები. თავშესაფრის ადმინისტრაციამ შეგვიფარა, მოგვცა ტანსაცმელი, ჰიგიენური და სხვა საჭირო ნივთები. გაგვეწია ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, მუშაობს სოციალური მუშაკი ჩემთან, დამაწყებინეს მუშაობა, ჩემი შვილების სკოლაში რეგისტრაციის პრობლემაც მალევე მოაგვარეს და ა.შ.“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** მსხვერპლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კრიზისული ცენტრის სერვისიც: ***„ჩემი ოჯახის შემთხვევაში ნამდვილად უდიდესი როლი ითამაშა კრისიზულმა ცენტრმა, აძლიერებს ბენეფიციარებს, როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ოზურგეთი).***

რესპონდენტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ სერვისების მიღების გზაზე **ბარიერია მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა** - თავშესაფარში მოსახვედრად მსხვერპლს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტატუსი. კრიზისული ცენტრიც მცირე ვადით იღებს სავარაუდო მსხვერპლს. ერთთვიანი შემაკავებელი ორდერის გამოცემიდან მეათე დღეს თუ შევიდა მსხვერპლი თავშესაფარში, 20 დღე რჩება ვადის ამოწურვამდე, ამ დროში წარმოუდგენელია მისი რეაბილიტაცია. ამიტომ იგი იძულებულია, ეძიოს გზები სტატუსის ვადის გასაგრძელებლად. ეს რთულია ბენეფიციარისთვის, მას უწევს პროცედურებში ჩაბმა. ***„მსხვერპლს მისი გასაჭირი ეყოფა და კიდევ იმაზე იფიქროს, „მსხვერპლის დიპლომი“ როგორ აიღოს?“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

ამასთან, მსხვერპლის სტატუსი გარკვეული სტიგმის მატარებელია. ქალები ხშირად გაურბიან და უფრთხიან ოფიციალურად მსხვერპლის სახელის დარქმევას. ძირითად მიზეზთა შორის, რის გამოც ქალები არ მიმართავენ შესაბამის ორგანოს მსხვერპლის სტატუსის მინიჭების თაობაზე[47], დასახელდა შემდეგი: არ მინდა მსხვერპლად მთვლიდნენ (58%); არ მქონდა ინფორმაცია, როგორ მიმეღო მსხვერპლის სტატუსი (36%); არ მსურს სამართალდამცავებთან ურთიერთობა (28%); საზოგადოების დამოკიდებულება (32%); ოჯახის/ნათესავების/გარემოცვის წინააღმდეგობა და წნეხი (20%).

---

47 ამ კითხვაზე რესპონდენტებს პრიორიტეტისა და მნიშვნელობის მიხედვით ორი მიზეზის გამოყოფა შეეძლოთ.

„მსხვერპლის სტატუსი რომ მქონდეს, უფრო მეტ დახმარებას მივიღებ, ვიცი, მაგრამ ეს სტატუსი საშინლად მაღიზიანებს. რაღაცნაირ დისკომფორტს მიქმნის. მრცხვენია და არ ვიცი, რატომ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).

სახელმწიფო ფონდი აღიარებს ამ გამოწვევას, უკვე შემუშავებულია კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ სერვისის მიღებისთვის, სტატუსი, როგორც ასეთი, ბარიერი აღარ იქნება, განსაკუთრებით თავშესაფრის კუთხით. *„უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს მუშაობა, ამას საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთან).*

ამ მხრივ რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს არასამთავრობო სექტორის მიერ უზრუნველყოფილი მსგავსი სერვისის მოქნილობას, რადგან ისინი დახმარების მიღების მსურველს მსხვერპლის ოფიციალურ სტატუსს არ სთხოვენ - *„ჩვენსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებულ მსგავს სერვისს შორის არსებითი განსხვავება არის ალბათ ის, რომ შედარებით უფრო მოქნილობა აქვთ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).*

ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავიდან როცა დასჭირდა, არაფერი იცოდა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ - *„ნამდვილად არ ვიცოდი, რომ არსებობს თავშესაფარი - სადაც ორდერის შემთხვევაში მსხვერპლს შეუძლია წავიდეს. არც კრიზისული ცენტრის თაობაზე მსმენოდა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან).* მართალია, სახელმწიფო ფონდი ატარებს საინფორმაციო კამპანიებს, თუმცა ამ მხრივ გამოწვევები ჯერ ისევ არსებობს და მსხვერპლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისის შესახებ ცნობებს მოკლებულია. თუ შევადარებთ, რამდენი შემაკავებელი ორდერია გამოცემული და რამდენმა მსხვერპლმა მიიღო სერვისი, სერიოზულ დისპროპორციას მივიღებთ. ამ სერვისის შესახებ ინფორმაციას სათანადოდ არ ავრცელებენ რეფერირების სუბიექტებიც. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოძალადე ქმრის გამო ექვსჯერ გამოიძახა პოლიცია, თუმცა თავშესაფრის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. მან თავად მოიძია ცნობები, მივიდა პოლიციაში - *„განვაცხადე, რომ ვიყავი ძალადობის მსხვერპლი, არ მქონდა გასაქცევი და თუ სადმე არ წამიყვანდნენ, აუცილებლად თავს მოვიკლავდი. ასე მოვხვდი თავშესაფარში“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*

სერვისების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის ადგილობრივ დონეზე რეფერირების სუბიექტებსა და **სერვისის მიმწოდებლებს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის არარსებობა.** გამოვლინდა, რომ ზოგმა უწყებამ არ იცის დახმარების პროგრამების შესახებ, ან არასაკმარისი ენთუზიაზმით ეკიდება ინფორმაციის გავრცელებისა და მსხვერპლის გადამისამართების მოვალეობას - *„ადგილობრივ დონეზე შემიძლია განვაცხადო, რომ არანაირი კომუნიკაცია არ ხდება ადგილობრივ უწყებებს შორის და ეს ერთ-ერთი დიდი ხარვეზია ჩვენი ეფექტიანი მუშაობის კუთხით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან). „მინდა გითხრათ, რომ პოლიციის მხრიდან კრიზისულ ცენტრში გადმომისამართების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა - რაც ცენტრი გაიხსნა - აქტიურად ვაწვდით ყველას ინფორმაციას. ძალიან კარგი იქნება მათი მთელი დატვირთვით ამუშავება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).*

კოორდინაციისა და ბიუროკრატიული მიდგომის პრობლემას ააშკარავებს ისიც, რომ თავშესაფარში მოხვედრის შემდეგ მსხვერპლს სოციალური დახმარება უჩერდება და

დიდი დრო სჭირდება მის აღდგენას. შესაბამისად, ეს ძალიან მოწყვლადი სეგმენტი მხარდაჭერის გარეშე რჩება - ***„როცა ეფექტურობაზე ვსაუბრობთ, ამას შესაბამისი უწყებები ძალიან მოქნილად და სწრაფად უნდა წყვეტდნენ. ან საერთოდ არ უნდა შეუწყდეს დახმარება, ან ჩვენგან ერთი წერილიც იყოს საკმარისი, რომ მისი აღდგენა დროულად მოხდეს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).***

სახელმწიფო ფონდი თანამშრომლობს სერვისების სხვა მიმწოდებლებთან: მერიის სოციალურ სამსახურთან, სოციალურ მუშაკებთან, პოლიციასთან, მედიკოსებთან, ასევე არასამთავრობო სექტორთანაც და ცდილობს ინფორმაციის გავრცელებას. რეფერირების მექანიზმში სუსტ რგოლად დასახელდა სკოლა. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობას არ ჰქონდეს ქაოტური ხასიათი და **კოორდინაციის მწყობრი სისტემა შეიქმნას.** პრობლემების მიუხედავად, მდგომარეობის შეუქცევად გაუმჯობესებაზე მიუთითა სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა. მისი თქმით, სამი-ხუთი წლის წინ გაცილებით ცუდი მდგომარეობა იყო სერვისებზე ინფორმაციის გავრცელების კუთხით და წლიდან წლამდე მომართვიანობა იზრდება.

სერვისებით სარგებლობასთან უშუალო კავშირშია **გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც,** რაც თავშესაფრების შემთხვევაში ნაკლებად აქტუალურია, განსხვავებით კრიზისული ცენტრებისგან. ზოგ მსხვერპლს უჭირს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ბავშვების მოწყვეტა ნაცნობი გარემოსგან, ზოგს, პირიქით - გარიდება ურჩევნია - ***„ჩემთვის მთავარი იყო, ვყოფილიყავი დაცულ გარემოში, შორს, სადაც ჩემი მეუღლე ვერ მომაგნებდა. ვაპირებ, რომ დავრჩე აქ, ჩემს ქალაქში ვერ დავბრუნდები“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** პრობლემას წარმოადგენს **კრიზისული ცენტრის სერვისებთან წვდომა,** რადგან ისინი დღის მომსახურების ცენტრებია და აუცილებელია რეგულარულად მისვლა, რათა მსხვერპლმა შედეგი მიიღოს - ***„სხვა მუნიციპალიტეტში რომ ყოფილიყო ეს ცენტრი, ძალიან დიდ სახსრებთან იქნებოდა დაკავშირებული სიარული და ჩემი ხელმოკლე ოჯახით ამას ვერ გავწვდებოდი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ოზურგეთი).***

ამ ბარიერის არსებობა დაადასტურა სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმაც - ***„ეს ბარიერი არის, კი, მაგრამ საკმაოდ კარგი ტემპი გვაქვს აღებული კრიზისული ცენტრების განვითარების. ხუთი კრიზისული ცენტრი სამ წელიწადში, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შედეგია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთან).*** გამოვლინდა გულისხმიერების განსაკუთრებული შემთხვევებიც: ***„გვყავდა ხანში შესული ქალბატონი, რომელიც მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდა. ჩვენ თვითონ მივდოდით მასთან კონსულტაციებისათვის. გვყავდა ბენეფიციარი არასრულწლოვანები, რომელთაც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა სამგზავრო აუნაზღაურა და ჩვენთან დადიოდნენ კონსულტაციებზე“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).***

აღნიშნული მაგალითები უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კრიზისული ცენტრების მცირე რაოდენობისა და ტერიტორიული ხელმისაწვდომობის შეზღუდულობის საკომპენსაციოდ, გამოიძებნოს ალტერნატიული საშუალებები, რომლებიც დაეხმარება მსხვერპლს ამ სერვისის მიღებაში, მათ შორის: ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფის, კრიზისულ ცენტრებში მობილური ჯგუფების დაარსების და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბენეფიციართან ადგილზე მისვლის პრაქტიკის დანერგვის გზით და ა.შ.

ბენეფიციარები, ძირითადად, **დადებითად ახასიათებდნენ პერსონალის დამოკიდებულებას, კომპეტენტურობასა და მხარდაჭერას** - ***„ჩემს მიმართ ყველა თანამშრომელს ძალიან კარგი მიდგომები ჰქონდათ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი). „კომპეტენტურობას ვერავის დავუწუნებ, არც ერთი თანამშრომლისგან, გარდა ყურადღებისა, ცუდი გამოხედვაც კი არ მახსოვს. ჩვენ ვმეგობრობდით ერთმანეთთან“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** დაწესებულებებში მსხვერპლთან მუშაობის პროცესი, ინდივიდუალურია და მის საჭიროებებზეა დამოკიდებული.

თავშესაფარში ცხოვრების პრობლემების კუთხით, მსხვერპლებმა გამოყვეს შემდეგი ფაქტორები: ახალ გარემოსთან შეგუებისა და ადაპტაციის პრობლემები, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს ბავშვების შემთხვევაში და მოქმედებს დედაზეც; მრავალ განსხვავებულ ადამიანთან თანაცხოვრების სიძნელეები, მათ შორის: ჰიგიენური ნორმების დაცვის, საერთო საქმეების განაწილების მხრივ, რაც იწვევს მცირე კონფლიქტებს.

თავშესაფრების სერვისის ძლიერ მხარედ რესპონდენტებმა დაასახელეს სხვადასხვა მხარდაჭერის მომსახურების ერთად მიღების შესაძლებლობა, უსაფრთხოება, დასაქმებაში ხელშეწყობა. მსხვერპლთა უკუკავშირით, **დასაქმება მეტ-ნაკლები წარმატებით ხერხდება**, თუმცა საგულისხმოა, რომ ეს შედარებით იოლია ცენტრებში - ***„დიდ ქალაქებში, თბილისში, ბათუმში და ა.შ. უკეთ გამოგვდის ჩვენი ბენეფიციარების დასაქმება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთან); „გვყავს რამდენიმე მსხვერპლი, რომელიც იმ დონემდე გაძლიერდა, რომ სხვებს აძლევს ეკონომიკური გაძლიერების საშუალებას“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).*** **სუსტ მხარედ დასახელდ**ა მოკლევადიანობა და თავშესაფრიდან გასული მსხვერპლის მარტო, მხარდაჭერის გარეშე დატოვება.

გამოვლინდა, რომ **თავშესაფრის სერვისის მოკლევადიანობა უმთავრესი პრობლემაა მსხვერპლთა უმრავლესობისთვის**. ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი **სათანადოდ გაძლიერებულად ვერ გრძნობენ თავს და ბუნდოვანი პერსპექტივის წინაშე მარტო რჩებიან** - ***„მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა აქ გაწეული სერვისები, მაგრამ არ არის რეალურად საკმარისი. გასვლის შემდეგ ძალიან მძიმე რეალობის წინაშე დგები. მე ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ვსაჭიროებ დახმარებას და გაძლიერებას“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი); „ჩვენს ქვეყანაში ფეხზე დადგომა სამ თვეში, ერთ წელიწადში თუნდაც, ცოტა არასერიოზულია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, სენაკი).***

თავშესაფრიდან გასულ მსხვერპლს სჭირდება **საცხოვრისით უზრუნველყოფაში** დახმარება და **ეკონომიკური მხარდაჭერა.** მათი დიდი ნაწილი საშუალო ან არასრული საშუალო განათლების მქონეა და უჭირს მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნა, რაც ქირის გადახდასთან ერთად, ბავშვების მოვლის შესაძლებლობას მისცემდა. აქ იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა: გამოკითხულმა რესპონდენტებმა თავშესაფრებიდან და სახელმწიფო ფონდიდან, აღნიშნეს, რომ **მსხვერპლები არცთუ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან პროფესიული გადამზადების პროგრამებში მონაწილეობას.** დილემას წარმოადგენს ის, რომ **გადამზადებას დრო სჭირდება, რომელიც არ გააჩნია მსხვერპლს,** რადგან მყისიერი საჭიროებები აქვს. როგორც წესი, მსხვერპლი ქალების პასუხისმგებლობაა შვილებიც და მათ მარტო უწევთ საკუთარი და ბავშვების გადარჩენისთვის ბრძოლა. მართალია, თავშესაფარში მყოფ მსხვერპლს გზის ფული ეძლევა კურსებამდე მისასვლელად, ამასთან, დაწესებულებაში ყოფნისას იგი უზრუნველყოფილია ყველაფრით, მაგრამ თავშესაფარი დროებითია, **გრძელვადიანი გადამზადების დროს კი ქალებს**

უჭირთ ყოველდღიურ საჭიროებებთან გამკლავება. ***„ძალიან რთულია ამ ადამიანებისთვის შემოსავლის წყაროს გაჩენა, თუ დასაქმებისთვის არ აქვთ კონკრეტული უნარები განვითარებული და აქვთ მინიმალური ცოდნა. თავშესაფარშიც კი ძალიან დაბალია იმის მაჩვენებელი, რომ მსხვერპლს უნდოდეს პროფესიულ გადამზადებაში მონაწილეობა. ამიტომ ჩვენი ფსიქოლოგები ამ კუთხით მუშაობენ, რათა მათ დაანახონ, ეს რამდენად მნიშვნელოვანია, რომ რაღაც ფორმით განათლება, რაღაც პროფესია ჰქონდეთ და მერე დასაქმება გამარტივდება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთან).*** ამ მოსაზრებას **მსხვერპლები სავსებით არგუმენტირებულად პასუხობენ:** ***„დღეს ჩემთვის ეკონომიკური შემოსავალი არის უფრო მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, რომ პროფესიული კურსებისთვის არ მცალია. უნდა ვიმუშაო, რომ ეს შემოსავალი გამომადგეს მარტო დარჩენის დროს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი); „მარკეტში ვერ იმუშავა ჩემმა შვილმა, ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავდა. პროფესიული გადამზადების კურსებზე უარი განვაცხადეთ, იმის გამო, რომ ძვირი ჯდებოდა ყოველდღე მგზავრობა სოფლიდან ქალაქამდე და ჩვენს ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ოზურგეთი).***

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლი ქალების სპეციფიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაინერგოს პროფესიული გადამზადების პროგრამების უფრო მოკლევადიანი და ბენეფიციარის საჭიროებაზე მორგებული სქემა; შესაძლებელია **სტიპენდიის დანიშვნა პროფესიული გადამზადების პროცესში**, რაც ქალს საშუალებას მისცემს, აიმაღლოს კვალიფიკაცია და, ამავდროულად, მოახერხოს შვილების გამოკვება, ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფარვა და ა.შ. ასევე, სასურველია, მეტი ონლაინ, დისტანციური ან შერეული სასწავლო კურსის შეთავაზება.

მსხვერპლი **ქალებისთვის დასაქმებისას დაბრკოლებაა მცირეწლოვანი ბავშვების მომვლელის არარსებობა.** ამ მიზეზის გამო ბევრი ქალი ვერ იწყებს მუშაობას. კრიზისულ ცენტრში არ არის ძიძა, თავშესაფარში - კი, თუმცა იგი სამუშაო საათებში მუშაობს. ბაღების გრაფიკიც არ არის მორგებული მარტოხელა დედის საჭიროებაზე, ხოლო უფასო ბაგა-ბაღები ორ წლამდე ბავშვებისთვის არ არსებობს. თავშესაფრები ვერ ეხმარებიან იმ დედებს, რომელთაც განსხვავებული სამუშაო გრაფიკი აქვთ. მართალია, იქ არის 24-საათიანი მედდა, მაგრამ მას ბევრი სხვა ფუნქცია აქვს. **სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლის თქმით, ხშირად მსხვერპლები სწორად ვერ იაზრებენ სერვისის სპეციფიკას** - ***„თავშესაფრები, სწორად გავიგოთ, არ არის სააღმზრდელო დაწესებულებები, ეს არის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი დაწესებულება. მოდით, ისე ნუ გავიგებთ, რომ მთლიანად ამ ბავშვებზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავშესაფარმა, დაეხმარება, რაღაცებში ხელს შეუწყობს, მაგრამ სრულად ვერ აიღებს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთან).*** იგივე მოსაზრება ჰქონდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს: ***„თუ კრიზისული ცენტრები სოციალურ სახლს დაემსგავსება და თავის რეალურ ფუნქციას დაკარგავს. ეს არ არის დაწესებულება, რომელიც სოციალურ პრობლემებს მოაგვარებს, ან პასუხისმგებლობა აქვს საამისო. ის აგვარებს ძალადობის მსხვერპლის პრობლემებს და სახელმწიფოს სწორედ ასეთი გამოკვეთილი სერვისი უნდა გააჩნდეს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).***

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ადეკვატურად უნდა უპასუხოს მარტოხელა მსხვერპლი დედების გამოწვევებს და დანერგოს შესაბამისი სერვისები, მაგალითად, შექმნას **არასტანდარტული გრაფიკის დღის ცენტრი,** სადაც ქალებს სამსახურის

დასრულებამდე შეეძლებათ ბავშვების დატოვება. მნიშვნელოვანია, უფასო ბაგა-ბაღი ორ წლამდე ბავშვებისათვის, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ასევე, სასურველია გაიზარდოს სახელმწიფო ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობის დროც. სწორედ ეს იქნება მსხვერპლზე მორგებული, მისი საჭიროებების ადეკვატური სერვისი - ***„მე ვმუშაობ 12 საათიდან ღამის 12 საათამდე. ამ დროს მარტოხელა ქალების დახმარება ისეთი ცენტრის შექმნით, სადაც ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან დედების მოსვლამდე და შეძლებენ მეცადინეობასაც, კარგი იქნებოდა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

ასეთი მხარდაჭერის არარსებობის გამო, მსხვერპლებს სამსახურზე უარის თქმა უწევთ, რადგან ბავშვებს ვერსად ტოვებენ, ეს მათ სოციალურ მოწყვლადობას კიდევ უფრო ზრდის. ამას ადასტურებს სერვისების გამცემიც: ***„ძალიან ხელისშემშლელია ის, რომ დამსაქმებელი ითხოვს გრაფიკს, რომელიც მიუღებელია მსხვერპლისთვის. ხშირად არსებულ ვაკანსიებზე უარის თქმა გვიწევს ამიტომ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).***

სახელმწიფო სერვისების მიმწოდებლებმა ხაზი გაუსვეს მსხვერპლის მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, იგი არ უნდა მოდუნდეს, გაზარმაცდეს. მათი თქმით, რიგ შემთხვევაში პირიქით - ვადა დასამოკლებელია: როგორც კი ბენეფიციარს მისთვის ოპტიმალურზე მეტი ხანი მიეწოდება სერვისი, რეგრესისკენ მიდის, თითქოს საზიანოც კი ხდება, ***„რადგან მთელი ცხოვრება ხელჩაჭიდებული ვერ ატარებ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).***

ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვს არასამთავრობო სექტორს: ***„ჩვენ ვიცით, რომ მსხვერპლობა არ არის მოკლევადიანი და საკმაოდ დიდხანს მიჰყვება ადამიანს ეს სტიგმაც. იმისთვის, რომ გაძლიერდეს და დამოუკიდებელი ცხოვრება შეძლოს, მას რაღაც გარკვეული დრო სჭირდება. განსაკუთრებული საჭიროებისას, შესაძლებელი უნდა იყოს თავშესაფარში ყოფნის ვადის გახანგრძლივება ორ წლამდე. ნახევარ წელში და ერთ წელიწადში ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა და დასაქმების კუთხით ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ ადამიანებს, რეაბილიტაცია და ფეხზე მყარად დადგომა ძალიან რთულია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

მართალია, ეს სახელმწიფო სერვისები სოციალური დახმარება არ არის, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ **გამოვლენილ აქტუალურ პრობლემას რეალური და ადეკვატური გადაწყვეტა სჭირდება.** მსხვერპლს მეტი დრო უნდა მიეცეს თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში ყოფნისთვის. ამასთან, არ შეიძლება სერვისის ვადის ამოწურვის შემდეგ მისი მიტოვება. **მსხვერპლს განგრძობადი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან,** ვიდრე მყარად არ დადგება ფეხზე.

რაც შეეხება **დაწესებულებიდან გასული მსხვერპლის მონიტორინგს** - ამას ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სოციალური მუშაკი - ***„მნიშვნელოვანია, გქონდეს ინფორმაცია, სად არის და რას აკეთებს მსხვერპლი, როგორ მიდის მისი სოციალიზაცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).*** ამ მხრივ გაწეულ ძალისხმევას არასაკმარისად მიიჩნევს არასამთავრობო სექტორი, რომელსაც მიაჩნია, რომ მსხვერპლის მხარდაჭერა არ უნდა წყდებოდეს თავშესაფრის დატოვებით და იგი სამი წელი მაინც უნდა იყოს აღრიცხვაზე, სპეციალიზირებული სოციალური მუშაკის მონიტორინგის ქვეშ.

„ეს არის განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორია, რომლის მიმართ სახელმწიფო განსაკუთრებულ ზრუნვას უნდა იჩენდეს. აქ უნდა იყოს გამოყენებული ყველა რესურსი, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს მსხვერპლის საბოლოო სოციალიზაცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).

1.2. უფასო სატელეფონო დახმარება (ცხელი ხაზი)

სტამბოლის კონვენციის თანახმად, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნას 24-საათიანი (24/7) უფასო სატელეფონო ცხელი ხაზები, რომლებზეც კონფიდენციალურად ან მათი ანონიმურობის სათანადო დაცვით კონსულტაციებს გაუწევენ სატელეფონო ზარების ავტორებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით.[48]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა დახმარების და კონსულტირების უზრუნველსაყოფად იქმნება **უფასო, 24-საათიანი საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომერი**, რომელიც **ხელმისაწვდომია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.** ამ სატელეფონო ნომრის მეშვეობით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში **რეაგირების მექანიზმების** და **მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების** შესახებ. ეს სერვისი, კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის გარდა, ფუნქციონირებს კონფიდენციალურობის დაცვით.[49]

საქართველოში **ეროვნული ცხელი ხაზის ნომერია 116 006 (+995 32 116 006).** ეს სერვისი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შვედეთის მთავრობის დაფინანსებით შექმნა.[50] ამ ნომერზე დარეკვა და სერვისის მიღება უფასოდ (ნებისმიერი ოპერატორიდან, საერთაშორისო ზარების ჩათვლით) და ანონიმურად ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში.[51] მომსახურების მიღება შესაძლებელია ეროვნული უმცირესობებისთვისაც, ზოგადად, სერვისი ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ,

---

48 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 24

49 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 19[1]

50 „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაზრდა გრძელდება“ - https://bit.ly/3apIej8

51 „საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში - ტენდენციები და მიდგომები“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/02/public-attitudes-towards-domestic-violence-in-georgia---trends-at-a-glance

რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე.[52] სატელეფონო ზარის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის."[53]

ცხელი ხაზი 2010 წლიდან მოქმედებს და მისი საშუალებით მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს თუ სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს **კვალიფიციური საკონსულტაციო სერვისი ოჯახში ძალადობის საკითხებისა** და კრიზისული შემთხვევებისას რეაგირების, მსხვერპლთათვის არსებული თავშესაფრების, **სხვადასხვა სერვისის**, ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების, სამართალწარმოების პროცედურების, **ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მომუშავე სახელმწიფო/არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ.**[54]

მნიშვნელოვანია ცხელი ხაზის თანამშრომელთა კვალიფიკაციის საკითხიც. მათთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგები უზრუნველყოფილია სახელმწიფო ფონდის მიერ.[55]

ცხელი ხაზის სერვისის პოპულარიზაციას ცდილობს გაეროს ქალთა ორგანიზაცია ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების** გზით.[56] მიუხედავად პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული კამპანიებისა, ცხელ ხაზზე ინფორმაცია უცნობია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც თითქმის არავის სმენია ამ სერვისის შესახებ. სახელმწიფო ფონდი აწარმოებს ცხელი ხაზით სარგებლობის სტატისტიკას და იკვეთება, რომ ტენდენცია სტაბილურად მზარდი არ არის.[57] ცალსახაა, რომ ამ **მომსახურების შესახებ ინფორმირების კამპანია გასაძლიერებელია,** რაც ასევე ხელს შეუწყობს მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას სხვა არსებული სერვისებისა და დახმარების პროგრამების შესახებ. 2018 წელს ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარები, საქსტატის მონაცემების მიხედვით, ასეთია: დარეკა 1 482 ქალმა[58] (შედარებისთვის, იგივე მონაცემი 2017 წელს 1793 იყო), 334 კაცმა და 287 არაიდენტიფიცირებულმა პირმა.

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, გამოკითხულმა ქალებმა (მსხვერპლებმა და სავარაუდო მსხვერპლებმა) **არ იცოდნენ ცხელი ხაზის სერვისის არსებობის შესახებ** და, შესაბამისად, არასდროს უსარგებლიათ ამ მომსახურებით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ინფორმაციის დეფიციტს და მისი უკეთ გავრცელების აუცილებლობას.

---

52 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი - http://atipfund.gov.ge/geo/static/427/dzaladobis-mskhverplta-krizisuli-tsentrebi

53 „საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში - ტენდენციები და მიდგომები" - https://bit.ly/2R7xcHK

54 იქვე

55 „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია" - https://bit.ly/30Dg0x2

56 „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა" - https://georgia.unwomen.org/ka/what-we-do/ending-violence-against-women

57 ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარები ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის საკითხებზე წლების მიხედვით იხ.: http://atipfund.gov.ge/res/docs/zaladobis-cxeli-xazis-statistika-2019-IIIkv.pdf

58 ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული ცხელი ხაზის მონაცემები - https://bit.ly/38qpJJM

სახელმწიფო ფონდის სერვისების მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია ამ სერვისების გასაუმჯობესებლად შემდეგი **რეკომენდაციების** წარდგენა:

1. სახელმწიფო ფონდმა, როგორც სერვისების მიმწოდებელმა ერთ-ერთმა უმთავრესმა ორგანომ, უფრო მწვავედ უნდა დააყენოს მსხვერპლის საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი და პროაქტიურად იმუშაოს მთავრობის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის ადვოკატირებისთვის (მაგ., გრძელვადიანი საცხოვრისის პრობლემა, ეკონომიკური გაძლიერება და სხვ.);

2. მეტი მუშაობაა საჭირო სახელმწიფო ფონდის სერვისების შესახებ ინფორმაციის სამიზნე ჯგუფებამდე მისატანად, განსაკუთრებით, რეგიონებში; მათ შორის, რეფერირების სუბიქტებთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით;

3. აუცილებელია თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის სერვისის ვადის გახანგრძლივება მსხვერპლის საჭიროების შესაბამისად. სასურველია სერვისის მიღების შესაძლებლობის ვადის ორი წლით განსაზღვრა;

4. აუცილებელია გეოგრაფიული გაფართოებისა და ხელმისაწვდომობის ზრდის არსებული ტენდენციის შენარჩუნება და გააქტიურება;

5. აუცილებელია კრიზისული ცენტრების სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მსხვერპლისათვის/სავარაუდო მსხვერპლისათვის დამატებითი დახმარების შეთავაზება, მათ შორის: ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფის, კრიზისულ ცენტრებში მობილური ჯგუფების დაარსების და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბენეფიციართან ადგილზე მისვლის პრაქტიკის დანერგვის გზით და ა.შ.;

6. მნიშვნელოვანია, დროულად გაუქმდეს მსხვერპლის ოფიციალური სტატუსის საჭიროება, როგორც სერვისების მიღებისთვის არსებული ბარიერი;

7. საჭიროა მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება და სიღრმისეული სტატისტიკის წარმოება სერვისის შედეგებისა და ეფექტიანობის შესახებ (მაგალითად, როგორ გრძელდება მსხვერპლთა ცხოვრება თავშესაფრის შემდეგ; რამდენი ქალი დაბრუნდა მოძალადესთან სერვისის მიღების შემდეგ და რატომ?);

8. აუცილებელია მსხვერპლი დედების დახმარების სერვისების გაუმჯობესება - თავშესაფარში ძიძა ხელმისაწვდომი უნდა იყოს 18 საათის შემდეგაც, რათა ხელი შეეწყოს ქალების დასაქმებას, მათ შორის, არასტანდარტული გრაფიკის შემთხვევაშიც. სასურველია, შეიქმნას არასტანდარტული გრაფიკის დღის ცენტრი, სადაც ქალებს სამსახურის დასრულებამდე შეეძლებათ ბავშვების დატოვება. მნიშვნელოვანია ორ წლამდე ბავშვებისათვის უფასო ბაგა-ბაღის უზრუნველყოფა, ასევე სახელმწიფო ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობის დროის გაზრდა;

9. აუცილებელია ბენეფიციართა პროფესიული გადამზადების პროცესში გათვალისწინებული იყოს მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირების ელემენტარული სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილება (მაგალითად, სტიპენდიის უზრუნველყოფით, ონლაინ ან შერეული ტიპის კურსის შეთავაზებით, რომელიც შეთავსებადი იქნება სამსახურთან და ა.შ.).

1.3. იურიდიული დახმარება

მსხვერპლისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სერვისია იურიდიული დახმარება.

სტამბოლის კონვენციის თანახმად, ქვეყანა ვალდებულია, უზრუნველყოს მსხვერპლისათვის ისეთ სამსახურებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც დაეხმარება ძალადობის შემდეგ ძალების აღდგენაში. ეს ვალდებულება, სხვა სახის მომსახურებასთან ერთად, მოიცავს იურიდიული დახმარების შეთავაზებასაც.[59] სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფასთან ერთად, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს, „რომ მსხვერპლს გააჩნდეს ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეს რეგიონული და საერთაშორისო ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების მოქმედ მექანიზმებზე“ და ხელი შეუწყოს მსხვერპლისადმი მგრძნობიარე, კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას ასეთი საჩივრების წარდგენის პროცესში.[60]

საქართველოში მსხვერპლის უფლებას - ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე - ითვალისწინებს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“[61], ხოლო მისი რეალიზების წესს, სამართლებრივი მხარდაჭერის წესსა და პირობებს - „იურიდიული დახმარების შესახებ“[62] კანონი ადგენს. ამ სერვისის მიწოდებას სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური[63] უზრუნველყოფს. ორგანიზაციის მომსახურება იყოფა ორ კატეგორიად:

1. **იურიდიული კონსულტაცია** (რაც გულისხმობს სამართლებრივ რჩევას ნებისმიერ საკითხზე და არის უფასო ნებისმიერი პირისთვის. მისი მიღება შესაძლებელია როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებში მისვლით, ასევე დისტანციურად - ვებგვერდის, ონლაინ დახმარების სერვისით ან ელექტრონული მიმოწერით - ელფოსტა: info@legalaid.ge, Facebook: www.facebook.com/legalaid.ge).[64]

2. **იურიდიული დახმარება** (რაც გულისხმობს იურიდიული დოკუმენტების შედგენას და უფასო საადვოკატო მომსახურებას განსაზღვრული მიმართულებებით).[65]

აგრეთვე 2018 წელიდან ამოქმედდა იურიდიული დახმარების სამსახურის ქოლცენტრიც.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების და თანმხლები საკანონმდებლო პაკეტის დამ-

---

59 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.1

60 იქვე, მუხ. 21

61 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 17.1.ი

62 საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=23

63 იურიდიული დახმარების სამსახურის ოფიციალური საიტი - http://www.legalaid.ge/ka

64 იურიდიული კონსულტაცია - http://www.legalaid.ge/ka/services/176/legal-consultation

65 იურიდიული დახმარების ზოგადი პირობები - http://www.legalaid.ge/ka/p/123/general-conditions

ტკიცების კვალდაკვალ, დაიხვეწა მსხვერპლისათვის იურიდიული დახმარების სერვისის სისტემაც, გაუმჯობესდა საკანონმდებლო ჩარჩო და სამართლებრივი მხარდაჭერა მსხვერპლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა. დღეისათვის, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, ოჯახში ძალადობის აღკვეთა, მსხვერპლთა დაცვა და დახმარება ერთ-ერთ პრიორიტეტადაა აღიარებული.[66]

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით შემდეგი სურათია: იურიდიული დახმარების სამსახურს ქვეყნის მასშტაბით აქვს ოფისები, ამჟამად 13 იურიდიული დახმარების ბიურო[67] და 9 საკონსულტაციო ცენტრი ფუნქციონირებს. აქედან დასავლეთ საქართველოში, აჭარის გარდა, 5 ბიურო (ქუთაისში, ზესტაფონში, ზუგდიდში, ფოთსა და ოზურგეთში, რომელიც ახლახან, 2019 წლის 19 სექტემბრიდან ამოქმედდა) და 4 საკონსულტაციო ცენტრია (ამბროლაურის, მესტიის, საჩხერისა და ცაგერის).[68] მათ შორის შემდეგი განსხვავებაა: იურიდიული დახმარების ბიურო სრულყოფილ იურიდიულ მომსახურებას ეწევა, ხოლო საკონსულტაციო ცენტრებში - იურიდიული კონსულტაცია ხორციელდება.[69] მისი ხანგრძლივობაა არა უმეტეს ერთი საათისა და უსასყიდლოა ყველასთვის.[70]

უფასო სამართლებრივი კონსულტაციის სერვისი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარუდო მსხვერლი ქალისათვის ხელმისაწვდომია როგორც **პირადად**, ასევე **სატელეფონო** და **ონლაინ** (Skype:legalaid.ge, Facebook:legalaid.ge[71] ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ვებგვერდის „ონლაინ ჩათი“) კავშირით, აგრეთვე, **ქოლცენტრის მეშვეობით** (ნომერი - 0 32 292 00 55) საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან.[72]

იურიდიული დახმარების სამსახურმა განვითარების დიდი გზა განვლო, 2017 წლიდან სამსახურს დაევალა ძალადობის მსხვერპლთა დაცვა,[73] კერძოდ, სერვისი მოიცავს შემდეგ დახმარებას: **დამცავი ორდერის გამოცემისას** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი, **მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა,** სარგებლობს სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისა და ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებით, როდესაც დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს განიხილავს სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-

---

66 იურიდიული დახმარების სამსახური ოჯახში ძალადობის შესახებ - https://bit.ly/378bd97

67 „იურიდიული დახმარების ბიურო არის სამსახურის შემადგენელი ერთეული, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესითა და თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს იურიდიულ დახმარებას“ - საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ. 16.1 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=23

68 იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისები - http://www.legalaid.ge/ka/p/1/offices

69 საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ.17

70 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი - http://www.legalaid.ge/ka/c/2/register

71 სერვისები - https://bit.ly/378bd97

72 იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2018 წ., გვ. 22 - http://www.legalaid.ge/files/2019-05/LAS%20Annual%20Report-2018.pdf

73 იქვე, იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების ეტაპები, გვ. 17

სო კოდექსის 21[13] მუხლით დადგენილი წესით[74]. **შემაკავებელი ორდერის** გამოცემის შემთხვევაში, მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უზრუნველყოფილია უფასო სამართლებრივი დახმარებით, **თუ იგი გადახდისუუნაროა.** „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად[75], ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, გადახდისუნარიანობის სტატუსის მიუხედავად, იურიდიული დახმარებით (სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა დოკუმენტები) შედგენა; წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით;) სარგებლობის უფლება აქვს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადებულ 2018 წლის საქმიანობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია, მსხვერპლთა კვალიფიციური და ხარისხიანი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, მუდმივად **ზრუნავს ადვოკატთა პროფესიულ განვითარებაზე** და უტარებს მათ ტრენინგებს. **ქალთა მიმართ, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეების სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე,** სამსახურმა, **საკუთარი ინიციატივით**, ამ კატეგორიის ქეისებზე **შექმნა ადვოკატთა სპეციალიზაცია,** „რაც გულისხმობს მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვას უპირატესად სპეციალიზებული ადვოკატების მიერ, რომლებიც შესაბამისი კვალიფიკაციითა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებით არიან აღჭურვილი“.[76] ისინი გადიან პროფესიული გადამზადების სამდღიან კურსს, რაც მოიცავს: **ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას,** აგრეთვე **ფსიქოლოგიური ასპექტების სწავლებას.**[77]

იურიდიული დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს, რათა ამ უკანასკნელებმა სწორად გადაამისამართონ მოქალაქეები.[78] აგრეთვე შეხვედრები იმართება სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან, თავშესაფრების პერსონალთან და ბენეფიციარებთან, უნივერსიტეტების და კოლეჯების სტუდენტებთან, სკოლების მოსწავლეებთან.[79] ბიურო შეხვედრებს ატარებს მოსახლეობასთანაც მისი ინფორმირების მიზნით.[80] იურიდიული დახმარების სამსახურსა და სახელმწიფო ფონდს დადებული აქვთ მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადამისამართებას მათი საჭიროების მიხედვით.[81]

---

74 საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ. 5.2[4]

75 იქვე, მუხ. 5.2[5]

76 იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2018 წ., გვ. 30

77 იქვე

78 იქვე, გვ. 35

79 იქვე, გვ. 36

80 შეხვედრების შესახებ დეტალურად იხ.: საზოგადოებრივი ადვოკატები და ჩვენი ბენეფიციარები - https://bit.ly/2udTzSN

81 იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2018 წ., გვ. 24

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

წინამდებარე მონიტორინგის ფარგლებში ფონდმა „სოხუმმა“ გამოკითხა როგორც სერვისის ბენეფიციარები, ასევე მიმწოდებლები, რათა განესაზღვრა დღეს არსებული გამოწვევები. იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელის თანახმად, **სამართლებრივად, მსხვერპლთა საქმეები დიდი სიძნელით არ ხასიათდება, მაგრამ ემოციურად - მეტად რთულია.**

რესპონდენტთა მიერ დადებით მხარედ იქნა მიჩნეული, რომ იურიდიული დახმარების სამსახური (შემდეგში - სამსახური), **თავისი ინიციატივით, უზრუნველყოფს ადვოკატთა სპეციალიზაციას,** პერიოდულად უტარებს მათ სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ტრენინგებს. გამოიკვეთა, რომ ამ ეპატზე დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლის მიმართ, ან შიდა გაწერილი ინსტრუქცია ამ საკითხზე სამსახურს არ გააჩნია. ამ ხარვეზის შევსება ტრენინგების საშუალებით ხდება. ტრენინგები საშუალებას იძლევა, მონაწილეები კანონის მიღმა გაეცნონ საკითხს, გააცნობიერონ თავიანთი როლი, ნახონ, როგორია პრაქტიკა და შეიძინონ დამატებითი უნარები, რაც აუცილებელია მსხვერპლთან ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით - ***„ტრენინგები გვაძლევს საშუალებას, გავეცნოთ სიახლეებს და ერთმანეთს პრაქტიკა გავუზიაროთ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მოპყრობის შესახებ, სამწუხაროდ, არ გვაქვს არანაირი ინსტრუქცია. ტრენინგებზე ხშირად გვაძლევენ არაფორმალურ ინსტრუქციებს და რჩევებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სხვადასხვა ძალადობის შემთხვევაში“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).*** ამდენად, მსხვერპლის ინტერესების დაცვის გასაუმჯობესებლად, ადვოკატების კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად მათი გადამზადება უნდა გაგრძელდეს: ***„კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს თანამშრომლების კომპეტენცია. სასურველია საკანონმდებლო დონეზეც იყოს განსაზღვრული სპეციალიზაცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელთან).***

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული სერვისის **გენდერული სენსიტიურობის გაუმჯობესებისათვის აღსანიშნავია ქალი ადვოკატების მნიშვნელობა.** მსხვერპლი რესპონდენტები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ ქალ ადვოკატებს - ***„ქალები რომ იყვნენ მეტი, აჯობებდა. კრიზისულ ცენტრში იურისტი ქალი იყო და ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. ისეთ დეტალებზე ვყვები მასთან, როგორც ქალთან. კაცებთან ასეთ თემებზე არ ვისაუბრებ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** ეს მიდგომა დაადასტურეს სერვისის მიმწოდებლებმაც - ***„ხშირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები ითხოვენ გასაუბრებას უმეტესად ქალ კონსულტანტთან. თვლიან, რომ, თუ ქალია, ის მეტ სოლიდარობას გამოიჩენს და გაუგებს მას. ჩვენ ამ კუთხით პრობლემა ბიუროში არ გვაქვს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).*** იურიდიული დახმარების გაწევისას, როცა საქმე სექსუალური ძალადობის ფაქტს ეხება, სამსახური ცდილობს, ჩართული იყოს ქალი ადვოკატი. ამ მხრივ

გარკვეულ პრობლემებს ქმნის არასამუშაო საათებში მომხდარი შემთხვევები, ამ დროს, მორიგეობისას, ყოველთვის ვერ ხერხდება ქალი ადვოკატის გამოყოფა, თუმცა შემდეგ საქმე მას გადაეცემა.

კვლევამ აჩვენა, რომ, როგორც წესი, მსურველები იურიდიულ დახმარებას დაუბრკოლებლად, კონფიდენციალურად იღებენ, მსხვერპლს არ უწევს ლოდინი. დადებითი მხარეა ისიც, რომ იურიდიული ბიუროები და წარმომადგენლობა **ხელმისაწვდომია ყველა მუნიციპალიტეტში** და ქალს შეუძლია მიმართოს ნებისმიერს, **რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად.** ***„მსხვერპლი შეიძლება იყოს რეგისტრირებული სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ შეუძლია მოგვმართოს ჩვენ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).***

არასახარბიელო პრაქტიკაა ის, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ცალკე **არ არის დათვლილი ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საქმეების მიღებისა და წარმოების სტატისტიკა -** ***„ცალკე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სტატისტიკა არ გვაქვს და ეს ერთ-ერთი გამოწვევაა, ალბათ, ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის, რომ მისი დაფიქსირება, შემთხვევების ანალიზი არ ხდება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული ბიუროს ხელმძღვანელთან).***

უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს იურიდიული დახმარების სერვისის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სამსახურის ცნობადობის გაუმჯობესება. მსხვერპლი რესპონდენტების უმრავლესობამ არ იცოდა იურიდიული დახმარების სერვისის არსებობის შესახებ, ვიდრე თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოხვდებოდა. მათი თქმით, ძალიან კარგია უფასო სამართლებრივი დახმარება, მაგრამ ამ ინფორმაციის მოსახლეობამდე ვერმიტანა მთავარ სისუსტედ უნდა ჩაითვალოს - ***„მოსახლეობა არ არის ინფორმირებული, რომ არსებობს უფასო იურიდიული სამსახური და ეს, მე მგონი, სუსტი მხარეა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** ამ პრობლემის არსებობა დაადასტურეს სერვისის მიმწოდებლებმაც, მათი თქმით, მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ***„ადამიანებმა იცოდნენ, რომ არსებობს ასეთი ორგანიზაცია, რომელიც გაუწევს კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელთან).***

სერვისის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა უპირველესი მიზეზია, რის გამოც მსხვერპლები ნაკლებად სარგებლობენ მათთვის აუცილებელი ამ დახმარებით და, ოჯახური ძალადობის პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, სამსახურში ამ კატეგორიის საქმეები ნაკლებია - ***„ძალიან დიდი სტატისტიკით ვერ დავიკვეხნით, თუმცა დახმარების მსურველთათვის უარი არასდროს გვითქვამს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).*** მიმართვიანობის ნაკლებობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ის, რომ იურიდიული დახმარების სერვისს სახელმწიფო ფონდიც სთავაზობს ბენეფიციარებს. თავშესაფარში არის იურისტი და მსხვერპლი მისგან იღებს კონსულტაციას.

ინფორმაციის გავრცელების ხარვეზის აღმოსაფხვრელად, იურიდიული დახმარების ბიუროები **მართავენ შეხვედრებს სოფლებსა და ქალაქებში,** ავრცელებენ საინფორმაციო ბუკლეტებს ოჯახში ძალადობის თემაზე. **მოსახლეობასთან სიახლოვის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობას -** ***„ჩვენი სამსახურის სტრატეგიაა, რომ ყოველ მუნიციპალიტეტში,***

მეტიც, სოფლებში, მერის წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ შენობებში ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია საკონტაქტო ინფორმაციით და არა მარტო ჩვენზე, არამედ ჩვენს პარტნიორებზე და ამ კუთხით მომუშავე ორგანიზაციებზე, რათა მოგვმართონ მათთვის საინტერესო საკითხებზე" (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელთან). თუმცა ეს საკმარისი არ არის და მეტი ძალისხმევაა გასაწევი მოსახლეობამდე სერვისის შესახებ ინფორმაციის უკეთ მისატანად.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ ხშირად მსხვერპლი თავს არიდებს მოძალადესთან იურიდიულ დავას, მისგან ფიზიკურად თავის დაღწევა საკმარისად მიაჩნია. პრობლემაა ისიც, რომ **ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში,** ის **სრულად ვერ აცნობიერებს, რა დახმარების მიღება შეუძლია, რა უფლებები გააჩნია და მოძალადეს რა მოვალეობები აკისრია -** ***„განქორწინება რა პრობლემაა, მეტი რას მეტყვიან. ეს არ მაინტერესებს. სხვა რაში უნდა დამეხმარონ? ბავშვს ყურადღებას არ აკლებენ მამის მხრიდან. განქორწინების შემდეგ შეიძლება ალიმენტიც არ გადაიხადონ. ჯერჯერობით კი უგზავნის მამამისი ბავშვს გარკვეულ თანხას, მაგრამ ეს მისი სურვილით ხდება. ერთ დღეს რომ არ მოუნდეს? რომ არ მისცეს, ვერაფერს ვიზამ" (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** ამ შემთხვევაში, მსხვერპლს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ ეცოდინებოდა, რომ მამას არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდა სავალდებულო წესით შეიძლება დაეკისროს და, ამ მიზეზით, მოძალადესთან საქორწინო კავშირის შენარჩუნება საჭირო არ არის.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი **საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მსხვერპლი ქალების გაძლიერების საჭიროებას**, რადგან არსებული **სტერეოტიპები დიდ დაბრკოლებას უქმნის** კონკრეტული მოძალადეების დასჯას და, ზოგადად, პრობლემის აღმოფხვრას **-** ***„გვაქვს შემთხვევები, როდესაც შუა პროცესში მსხვერპლი უარს აცხადებს საქმის გაგრძელებაზე. მიზეზად ის საზოგადოებრივ დამოკიდებულებას და ეკონომიკურ არასტაბილურობას ასახელებს. იყო შემთხვევები, როდესაც ნათესავების ზეწოლის ქვეშ არის ქალი და აიძულებენ, რომ დაეხმაროს მეუღლეს" (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).***

საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ მეტია გასაკეთებელი. გამოიკვეთა, რომ ჯერ კიდევ არსებობს **უფასო სახელმწიფო სერვისებისადმი უნდობლობა,** მათი უხარისხობის შიშით **-** ***„უფასო ადვოკატი შემომთავაზეს. მაგრამ მე თვითონ გადავწყვიტე ადვოკატის დაქირავება, უფასო ადვოკატებს არ ვენდობი, რა ვიცი, იქნებ ესეც სტერეოტიპია. მაგრამ უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ ყველაფერს კარგად გააკეთებს და ამიტომ მირჩევნია, თანხა გადავიხადო და უფრო მყარად ვიყო" (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** სასურველია, გააქტიურდეს მუშაობა მოსახლეობაში სამსახურის სანდოობის, რეპუტაციის ამაღლებისათვის, რათა სტერეოტიპებმა არ დააბრკოლოს ადამიანი, მიიღოს მნიშვნელოვანი დახმარება. რესპონდენტებმა დაადასტურეს, რომ სწორი კომუნიკაცია ამარცხებს ამ პრობლემას **-** ***„თავიდან, სანამ გაგვიცნობდნენ, ჰქონდათ დამოკიდებულება იმ კუთხით, რომ უფასო სამსახური რა უნდა იყოსო, დღეს პური არ არის უფასო და იურისტი რა იქნებაო... თუმცა, ჩვენმა მუშაობამ შეცვალა ეს დამოკიდებულება" (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).***

შესაბამისი გამოცდილების მსხვერპლებს ვთხოვეთ, **შეეფასებინათ იურიდიული დახმარების სამსახურისა და თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების მიერ შემოთავაზებული**

იურიდიული დახმარების სერვისები. მათი თქმით, განსხვავება ის არის, რომ თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში უფრო შინაურული და ნაკლებად ოფიციალური გარემოა, სადაც თავს კომფორტულად გრძნობენ – ***„ცენტრში გრძნობ, რომ ყველა შენს დასახმარებლადაა. სხვაგან მაინც იგრძნობა, რომ შენ მათთვის ხარ მორიგი კლიენტი და ძალიან ოფიციალური სახე აქვს ყველაფერს. ცენტრში უფრო მეტი ადამიანური ურთიერთობებია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან ურთიერთობას თავისი სპეციფიკა აქვს. სერვისების სხვა მიმწოდებლებმაც აღნიშნეს, რომ მსხვერპლთა ზემოაღნიშნული პოზიცია ბუნებრივია, რადგან იურიდიული დახმარების სამსახურის თითოეულ თანამშრომელს სამი ათეული ქეისი აქვს სამართავი, ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა, კი ***„ძალიან ფაქიზი საკითხია, უამრავი ნიუანსი აქვს, დიდი დროითი რესურსი სჭირდება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).*** თუმცა ზოგჯერ იურიდიული დახმარების სამსახური შეუცვლელია. მაგალითად, ***„სისხლის სამართლის საქმეებზე (არასრულწლოვნების საქმეზე) სახელმწიფო ფონდიდან აქ ამისამართებენ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელთან).***

მსხვერპლები იურიდიული დახმარების სამსახურამდე, ძირითადად, **სხვა სერვისების გავლით მიდიან.** მას, როგორ წესი, თავშესაფრების, სოციალური სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიციის, სასამართლოს ან ყოფილი ბენეფიციარების რჩევით აკითხავენ. აგრეთვე, როცა სამსახური ვერ ახერხებს კონკრეტული ბენეფიციარის დახმარებას საჭიროების მიხედვით, ამისამართებს მას შესაბამის დაწესებულებაში. ამდენად, ეს ორმხრივი პროცესია და ადასტურებს **სერვისის მიმწოდებლებს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობას.**

იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა რეფერირების მექანიზმში სუსტ რგოლად თვითმმართველობა და საგანმანათლებლო დაწესებულებები დაასახელეს. რესპონდენტების აზრით, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ბრძოლისათვის **თანამშრომლობა რეფერირების მექანიზმის სუბიექტებს შორის უფრო ინტენსიური და სისტემატიური უნდა იყოს.** ყველა შესაბამის უწყებაში უნდა არსებობდეს ამ თანამშრომლობაზე, ინფორმაციის გაცვლაზე და კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ექნება სისტემატიური კონტაქტი სამუშაო რეჟიმში, მაგალითად, თვეში ან კვარტალში ერთხელ.

სერვისის მიმწოდებლები მიღწევად თვლიან მათი ჩარევით დადებითად გადაწყვეტილ საქმეებს და კმაყოფილ მოქალაქეებს. მათი თქმით, სასურველი იქნებოდა, სამსახურის საკონსულტაციო ჯგუფი ჩართული იყოს მსხვერპლის სტატუსის მოპოვებისათვის საბუთების მომზადების, ანკეტის შევსების პროცესში.

სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს შორის, დაბალი ცნობადობის გარდა, დასახელდა **კადრების დეფიციტის** პრობლემა, **სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების სიმცირე.** ასევე გაწეული **მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემის არარსებობა.** სამსახურს არ აქვს მონიტორინგის რაიმე მექანიზმი ან გეგმა, რომ გააკონტროლოს, რამდენად ეფექტიანი იყო გაწეული დახმარება. პროფესიული შეფასების სისტემის პროექტი, წესით, მომავალი წლიდან უნდა ამოქმედდეს. სავალდებულო დაცვის შემთხვევებში უნდა შემოწმდეს, როგორ იხარჯება სახელმწიფო რესურსები და როგორია გაწეული

მომსახურების ხარისხი - *„ვინაიდან ამ მიმართულებით რაიმე ქმედითი ღონისძიება ამ ეტაპზე არ გვაქვს, ფაქტობრივად, ვერ ვამოწმებთ, ჩვენს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი რამდენად არის დამაკმაყოფილებელი, რამდენად შეესაბამება იმ გამოწვევებს, რა გამოწვევებიც დგას სამსახურის წინაშე“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელთან).*

რესპონდენტებმა დაბრკოლებათა შორის, ზემოაღნიშნულის გარდა, გამოკვეთეს **რეფერირების სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, საზოგადოების არაინფორმირებულობა სამართლებრივ საკითხებში, სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურება -** *„მიუხედავად იმისა, რომ კანონში გვიწერია, რომ ასეთი დავები მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა იყოს განხილული, მაინც იჭიმება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან),* ასევე **რეფერირების სუბიექტების პროფესიული გადამზადების ხარისხი -** *„მაგალითად, მასწავლებლებს, გადამზადების მიუხედავად, უჭირთ ოჯახში ძალადობის ფაქტის ამოცნობა. პროფესიული გადამზადება - პედაგოგების, სამედიცინო პერსონალის, პოლიციის და სხვა - არის ჯერ კიდევ გამოწვევა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).*

მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია **იურიდიული დახმარების სამსახურისათვის შემდეგი რეკომენდაციების წარდგენა:**

1. იურიდიული დახმარების სამსახურმა აქტიურად უნდა იმუშაოს მისი უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ადვოკატირებისთვის (მაგალითად, სასამართლო პროცესების გაჭიანურების პრობლემის მოგვარებისთვის ინიციატივის, წინადადებების წარდგენა პარლამენტისთვის და სხვ.);

2. სასურველია, სავალდებულო წესით, კანონით განისაზღვროს იურიდიული ბიუროების თანამშრომელთა სპეციალიზაციის საკითხი ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამუშაოდ;

3. აუცილებელია მუშაობის გაგრძელება იურიდიული დახმარების სერვისის მომწოდებელთა პროფესიული მომზადებისა და გენდერული მგრძნობელობის გასაუმჯობესებლად;

4. მეტი მუშაობაა საჭირო, იურიდიული დახმარების სერვისის შესახებ ინფორმაციის მოსახლეობამდე მისატანად, განსაკუთრებით, რეგიონებში; მათ შორის, რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით; ასევე უფასო იურიდიული დახმარების სერვისის სანდოობისა და რეპუტაციის ასამაღლებლად;

5. აუცილებელია ცალკე, სიღრმისეული სტატისტიკის წარმოება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მიწოდებული სერვისის შესახებ (მათ შორის, რამდენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს გაეწია დახმარება, რა კატეგორიის საქმეებზე და ა.შ.);

6. საჭიროა მონიტორინგის სისტემის დანერგვა გაწეული იურიდიული დახმარების სერვისის ხარისხის და ეფექტიანობის შესაფასებლად და ხარვეზების უკეთ გამოსავლენად.

1.4. სოციალური სერვისები

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა უზრუნველყონ მსხვერპლისათვის სოციალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და მიუთითებს, რომ სამსახურებს უნდა ჰქონდეს შესაფერისი რესურსები და ჰყავდეს სპეციალისტები, რომლებსაც გავლილი ექნებათ მომზადება მსხვერპლისთვის დახმარების გასაწევად და რომლებიც, საჭიროებისამებრ, გადაამისამართებენ მათ შესაბამის სამსახურებში.[82]

ოჯახში ძალადობა უმწვავესი და მრავალგანზომილებიანი სოციალური პრობლემაა, შესაბამისად, მის წინააღმდეგ და მსხვერპლის დასაცავად კომპლექსური სოციალური პოლიტიკის გატარებაა აუცილებელი. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ რეალური შედეგების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია პრევენცია, რაც სოციალური მომსახურების დახვეწას და გაუმჯობესებას გულისხმობს. სამწუხაროდ, ეს მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე სუსტია. საქართველოში სოციალურ სერვისებზე პასუხისმგებელ უწყებას სოციალური მომსახურების სააგენტო[83] (შემდეგში - სააგენტო) წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ამგვარი ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ.[84]

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისათვის სოციალური მომსახურება მოიცავს[85]: ოჯახური დავების მიზეზების ანალიზს; მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას; შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მოძალადეთა რისკ-ჯგუფების გამოვლენას და მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობას; მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას.

2018 წელს მიღებულ იქნა კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, რომელიც საკმაოდ პროგრესულ დებულებებს ითვალისწინებს, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მის რეაბილიტაციაზე ზრუნვას. თუმცა მისი ძირითადი ნაწილის ამოქმედება 2021 წლის 1 იანვრამდეა გადავადებული.[86]

---

82 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.2

83 სოციალური მომსახურების სააგენტო - http://ssa.gov.ge/

84 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ:, მუხ. 6.1.

85 იქვე, მუხ. 8

86 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხ. 1.1; 65.2 - https://bit.ly/2G6WrDw

ამდენად, სოციალური მომსახურების ვალდებულება კანონმდებლობით გათვალისწინებულია, თუმცა, პრობლემურია მისი პრაქტიკაში ამოქმედება და განხორციელება.

ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, **სოციალური მუშაკების რაოდენობის სიმცირესა და არასაკმარის ბიუჯეტზე** დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება ჯერაც ვერ მოხერხდა. სოციალური მუშაკების რაოდენობისა და ბიუჯეტის გაზრდა რეკომენდებული იყო გაეროს საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის მეორე ციკლის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტში.[87] მნიშვნელოვან დაბრკოლებად პროფესიული წრეები და თავად სოციალური მუშაკები მიიჩნევენ სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომით პირობებსა და სამუშაო გარემოს.[88]

სოციალურ მუშაკთა საერთო რაოდენობა საქართველოში უაღრესად მცირეა. 600 სოციალური მუშაკი მუშაობს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში ერთად და მათგან მხოლოდ 240 მუშაკია სოციალური მომსახურების სააგენტოში. შედარებისთვის, ევროკავშირში, საშუალოდ, ასი ათას მოსახლეზე 1851 სოციალური მუშაკია. საქართველოში 100 ათას მოსახლეს 7 სოციალური მუშაკი ემსახურება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების პრაქტიკას.[89] წარმატებული სოციალური მუშაობისთვის აუცილებელია სოცმუშაკების სამუშაოს გონივრული მოცულობის განსაზღვრა.[90]

კადრების მწვავე დეფიციტს ემატება უფლება-მოვალეობების სიმრავლე. სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო, ყოველთვიურად, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს უწევს შესაბამის მომსახურებას.[91] სოციალური მუშაკები მუშაობენ დაახლოებით 32 მიმართულებით (სოციალურად დაუცველი ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები, შვილად აყვანის პროცედურები, მინდობით აღსაზრდელები, მეურვეობა/მზრუნველობა და ა.შ.), მათ შორის, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოდის საქმეების 5%. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში თითო სოციალურ მუშაკს თვეში, საშუალოდ, 120-მდე საქმე ჰქონდა, რაც 6-ჯერ აღემა-

---

87 პოლიტიკის დოკუმენტი „სოციალური მომსახურება - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი“, გვ. 5 - http://www.parliament.ge/uploads/other/75/75664.pdf

88 „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები“ - https://emc.org.ge/ka/products/sotsialuri-momsakhurebis-saagentos-sotsialur-mushakta-shromiti-pirobebi-da-gamotsvevebi

89 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 51

90 „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები“, გვ. 5-6 - https://bit.ly/38YL8KC

91 სააგენტოს შესახებ - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14

ტება რეკომენდებულ საქმეთა რაოდენობას[92]. ამ პირობებში სოციალური მუშაკის მიერ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

ოჯახში ძალადობის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სოციალური მუშაკების რაოდენობის 10-30%-ით ზრდა. ამ ფონზე, სოციალურ მუშაკთა რაოდენობა 2018 წელს 279-დან 255-მდე შემცირდა.

სოციალურმა მუშაკებმა 2019 წელს გაფიცვით გააპროტესტეს სამუშაო პირობები და ის სერვისები, რასაც სახელმწიფო ყველაზე დაუცველ ადამიანებს სთავაზობს.[93] მათი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა კადრების რაოდენობის გაზრდა იყო. სამინისტროსთან შეთანხმება ნაწილობრივ შედგა, კადრების რაოდენობის მატება 2019 წელს - 50-ით, ხოლო 2020 წელს ასევე 50 თანამშრომლით განისაზღვრა.[94]

სოცმუშაკთა რაოდენობის თანმიმდევრული ზრდის ნაცვლად 2020 წლის დასაწყისში მათი შემცირება დაიწყო, რაც სამინისტრომ სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციით ახსნა და აღნიშნა, რომ პროცესის დასრულების შემდეგ სოცმუშაკთა რაოდენობა არ შემცირდება. ასევე რეორგანიზაციის ფარგლებში იგეგმება მზრუნველობის, ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების ფუნქციის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის გადაცემა.[95] სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, იქმნება ახალ სსიპ-იც - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელსაც გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის მიმართულებით ფუნქცია-მოვალეობები.[96]

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, სოციალური მუშაკების გათავისუფლების პროცესი დარღვევებით მიმდინარეობს. მათი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა გაფიცვის ორგანიზებასა და საჯარო პროტესტის გამოხატვაში, რაც სამოქალაქო სექტორს უჩენს ეჭვს, რომ ისინი პროტესტის გამო დაისაჯნენ.[97]

---

92 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 52

93 „სოციალური მუშაკების პროტესტი“ - https://bit.ly/2TqvaT9

94 „2019 წელს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა გაიზრდება – სერგეენკო“ - https://reginfo.ge/people/item/12894-2019-xels-sozialur-mushakta-raiodenoba-gaizrdeba-%E2%80%93-davit-sergeenko

95 „სამინისტროს განმარტება სოცმუშაკების გათავისუფლებაზე“ - https://netgazeti.ge/news/423196/

96 „ჯანდაცვის სამინისტროში ახალი სსიპ-ი „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ იქმნება“ - https://bit.ly/368ocGF

97 „სოციალური მუშაკების გათავისუფლების პროცესი დარღვევებით მიმდინარეობს“ - https://emc.org.ge/ka/products/sotsialuri-mushakebis-gatavisuflebis-protsesi-darghvevebit-mimdinareobs

ერთი მხრივ - სოციალური მუშაკების შეზღუდული რაოდენობა და, მეორე მხრივ, **ვალდებულებების სიმრავლე** უარყოფითად აისახება მათი მუშაობის ხარისხზე და ქმნის რისკს, რომ კანონით გათვალისწინებული მოვალეობები მხოლოდ ფურცელზე დარჩეს. არსებული მდგომარეობით, სოციალური მუშაკები ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფენ ორდერით გათვალისწინებული საკითხების მონიტორინგს.[98]

პრობლემას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის არასამუშაო დროს მომხდარ გადაუდებელ, კრიზისულ შემთხვევაზე რეაგირებაც. საქართველოში სოციალური მუშაკებისათვის ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკია გათვალისწინებული. არასამუშაო დროს მომხდარი ძალადობისას სოციალური მუშაკების ჩართვა დაცვის ღონისძიებებში გართულებულია. ამასთან, გადაუდებელი მდგომარეობის გამო, არასამუშაო დროს ხშირად კეთილი ნებით გამოცხადებული სოციალური მუშაკი ანაზღაურებას არ იღებს.[99]

აუდიტის სამსახურის შეფასებით, არსებული მდგომარეობით, სოციალური სამსახური ჩართულია მხოლოდ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებში, თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემების გამო, კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციები პრაქტიკაში სრულყოფილად ვერ სრულდება. სოციალური სამსახურის მიერ თავის ფუნქციათა სრულად შესრულება მეტად მნიშვნელოვანია მსხვერპლის ინტერესების დასაცავად, მისთვის არსებული სერვისების შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად და შესაბამის სამსახურებთან გადამისამართებისთვის. ამიტომ აუდიტის სამსახურს სავსებით მართებულად, აუცილებლად მიაჩნია სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდა, მათი დატვირთვის შემცირება და არასამუშაო დროს, გადაუდებელ შემთხვევებზე შეუფერხებელი რეაგირებისთვის, სოციალური მუშაკების მორიგეობის მექანიზმის დანერგვა.[100]

---

98 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 52

99 იქვე, გვ. 53-54

100 იქვე, გვ. 54-55

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

სოციალური სამსახური ერთ-ერთი სუსტი რგოლია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და მსხვერპლის მხარდაჭერის საქმეში. სააგენტოს გააქტიურების აუცილებლობაზე საუბრობენ არა მხოლოდ მსხვერპლები და სოცმუშაკები, არამედ სხვა სერვისების მიმწოდებლებიც: ***„სოციალური მომსახურების სააგენტოს მეტი როლი უნდა ჰქონდეს ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლის დახმარების საკითხში, თუმცა ეს ასე არაა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან). „სოციალური მუშაკების თემა ძალიან მტკივნეული თემაა. ჩვენც, გაეროსაც გვქონდა რეკომენდაციები სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდაზე, სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე და ხელფასების მატებაზე. თუმცა რეკომენდაცია რეკომენდაციად დარჩა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

კვლევის რესპონდენტებმა ერთხმად აღნიშნეს, ერთი მხრივ, სოციალური მუშაობის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მისი ხარვეზები. სერვისის მიმწოდებლები კარგად აცნობიერებენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს - ***„მსხვერპლისათვის შეთავაზებული სერვისები არ არის გრძელვადიანი და საჭიროებები არ არის სრულად მოცული. ეს არის ძირითადი ხარვეზი, რაც გვაქვს სოციალური მუშაობის კუთხით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან).***

სოციალური მუშაკების ფუნქცია მსხვერპლი ქალების დასახმარებლად ამ უკანასკნელთა **ინფორმირებითა და გადამისამართებით შემოიფარგლება.** დიდი სამუშაო დატვირთვის პირობებში, ფაქტობრივად, **საერთოდ ვერ ხერხდება პრევენციის მიმართულებით მუშაობა**, უკვე მომხდარ შემთხვევაზე რეაგირების კუთხითაც გაძნელებულია **ცალკეულ საქმეზე სათანადო დროის გამოყოფა და ყურადღების მიქცევა.** ამ პრობლემას თავად სოციალური მუშაკებიც კარგად აცნობიერებენ - ***„ვიცით, რომ უნდა ვიყოთ მეტად ჩართული, მაგრამ, ჩვენი დიდი და არაადეკვატური სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, პრევენციულ, თერაპიულ და საგანმანათლებლო მუშაობას ვერ ვახორციელებთ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან).*** რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა, რომ სოცმუშაკი განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდა საქმეს, მაგრამ სისტემა არ უნდა იყოს აწყობილი მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის მონდომებასა და კეთილსინდისიერებაზე.

სააგენტოს სერვისის შესახებ მსხვერპლთა ნაწილი ინფორმირებული არ იყო. იშვიათია პირდაპირ მიმართვის შემთხვევები. როგორც მსხვერპლებმა აღნიშნეს, პოლიციისთვის მიმართვის შემდეგ, ეს უკანასკნელნი რთავდნენ საქმეში სოცმუშაკებს - ***„რომ არა პოლიციის მიერ მათი გამოძახება, ჩვენ ალბათ არ მივმართავდით სოციალურ სამსახურს, ვინაიდან არ ვიყავით ინფორმირებული მათი სერვისების შესახებ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ოზურგეთი).***

სოციალურ მუშაკთა რაოდენობის სიმცირის გარდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **ფსიქოლოგთა ნაკლებობა.** მაგალითად, 2019 წლის ბოლოს იმერეთის 12 მუნიციპალიტეტისათვის მხოლოდ ორი ფსიქოლოგი იყო გათვალისწინებული, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელს ხდის მსხვერპლებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების სწრაფად, საჭიროებისამებრ მიღებას, მაშინ როცა ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისთვის ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. ***„ეს არის ერთ-ერთი სუსტი რგოლი... ჩვენ რეაბილიტაციის საშუალება არ გვაქვს ფსიქოლოგების ნაკლებობის გამო. ბავშვის შემთხვევაში აქ ვიყენებთ მანდატურის სამსახურში არსებულ ფსიქოლოგიურ ცენტრს, თუ ბავშვი სკოლის მოსწავლეა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში ვიყენებთ კრიზისულ ცენტრს, არასამთავრობოს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან). „სოცსააგენტოს არ ჰყავდა იმერეთში ფსიქოლოგი და გადმომამისამართეს ფონდ „სოხუმში“. სხვა მომსახურება არ შემოუთავაზებიათ ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის“ (ფოკუს-ჯგუფი ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ მსხვერპლებთან).***

გადატვირთულობის გამო, ძირითადად, სოცმუშაკები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეში ერევიან **მსხვერპლი ბავშვის არსებობისას -** ***„თუ ოჯახში არ არის ბავშვი, შემოვიფარგლებით მხოლოდ კონსულტაციისა და გადამისამართებით სხვადასხვა სერვისზე“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან).*** მართალია, სოციალური მუშაკები, ძირითადად, ბავშვების დასახმარებლად ერთვებიან, მაგრამ ეს **მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა მსხვერპლებისთვის.** ესეც მათთვის გაწეულ სერვისად უნდა ჩაითვალოს, რადგან **ბავშვები ხშირად მხოლოდ დედების პასუხისმგებლობაა და მასთან გასამკლავებლად ქალებს დახმარება და ხელშეწყობა სჭირდებათ -** ***„შემომთავაზეს ბავშვთა დახმარების პროგრამა. კერძოდ, სკოლის ასაკის ბავშვისათვის გაკვეთილების მომზადების კუთხით სპეციალურ კერძო მასწავლებლებთან მეცადინეობის მხრივ დახმარება. ასევე ფსიქოლოგიური დახმარება. აგენტის შეფასების შედეგად მომანიჭეს ქულები და ვიღებ სოციალურ დახმარებასაც. ასევე შემომთავაზეს ქირის უზრუნველყოფის პროგრამაც“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი). „სოციალური მუშაკი დაგვეხმარა იმით, რომ დაგვაწერინა განცხადება, რის შედეგად ტანსაცმელი და ფეხსაცმლები მოგვიტანეს ბავშვებისათვის და სასკოლო ნივთები“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ოზურგეთი). „ბავშვებისათვის ასევე არის კვების, რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, ადრეული განვითარების დღის ცენტრი, სხვადასხვა დახმარება შშმ ბავშვებისთვის და ა.შ.“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან).***

მონიტორინგისას, **ძალადობაგამოვლილი ქალების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროება** გამოიკვეთა. ზოგჯერ მსხვერპლ ქალებს აგრესია გადააქვთ შვილებზე, რაზეც სახელმწიფო, ფსიქოლოგიური დახმარების ნაცვლად, სადამსჯელო ზომებით პასუხობს - ***„ზოგჯერ მოგვდის მიმართვა, რომ დედა ძალადობს შვილზე. თვითონ ძალადობაგადატანილი ქალის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს. არ შეიძლება მას შეუზღუდო მშობლის უფლებები და თვითონ ცუდ მდგომარეობაში მყოფს კიდევ უფრო გაურთულო მდგომარეობა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან).***

ბავშვის რეაბილიტაცია შეუძლებელია დედის რეაბილიტაციის გარეშე. **დედისა და ბავშვის სერვისები ერთიანი პაკეტით უნდა იყოს გათვალისწინებული.**

სოცმუშაკთან პირად ურთიერთობას ძალადობის მსხვერპლთა ნაწილი დადებითად ახასიათებდა, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით სერვისებზე. გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებს

დიდხანს უწევთ ლოდინი დახმარების მისაღებად - *„ძალიან დადებითად შევაფასებდი სოციალური მუშაკის ურთიერთობას ჩემთან და ჩემს შვილებთან. მაგრამ ჯერ კიდევ არ მაქვს მიღებული დახმარებები, რაზეც განცხადებებია დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ თვეები გავიდა. ეს ალბათ სააგენტოს მიზეზია და არა მისი პირადი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*

რესპონდენტთა ნაწილმა ხაზი გაუსვა სოცმუშაკების არაკომპეტენტურობასა და გულგრილობას - *„სოციალური სამსახურის ჩარევა არც დროული იყო და არც ეფექტური. გულისხმიერებაზე საუბარი ზედმეტია. სოცმუშაკის მონაწილეობა იმაში გამოიხატა, რომ შეაფასა სანიტარულ-ჰიგიენური (თუ რაღაც, არ ვიცი) პირობები ბავშვის საცხოვრებლად. არავინ დაინტერესებულა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, თერჯოლა).*

სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ თითოეული საქმის მონიტორინგს და ყოველ შემთხვევაზე მეთვალყურეობას - *„გადამამისამართა და შემდეგ არც კი დაინტერესებულა შემდგომი დამოკიდებულებით“ (ფოკუს-ჯგუფი ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ მსხვერპლებთან); „სოციალური მუშაკი მხოლოდ ორჯერ მოვიდა და მის მერე არ მინახავს და არც კი დაინტერესებულა ჩემი და ჩემი შვილის მდგომარეობით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*

კვლევამ აჩვენა, რომ, როცა მსხვერპლის უფლებების დასაცავად არასამთავრობო ორგანიზაცია ერთვება, სააგენტო მეტ ყურადღებას იჩენს - *„გამაფრთხილეს, რომ ძალიან დიდი ხანი დამჭირდებოდა სააგენტოს ფსიქოლოგის ლოდინი. გამიმართლა იმ კუთხით, რომ ფონდი „სოხუმის“ დახმარებით სახალხო დამცველმა კონტროლზე აიყვანა ჩვენი საქმე და სასწრაფოდ ჩართო სააგენტოს ფსიქოლოგი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, თერჯოლა); „რომ არა არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვა, ასე სწრაფად არ მოვიდოდნენ, დარწმუნებული ვარ, ვინაიდან არაერთხელ მიმიმართავს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).* ამის გამო რესპონდენტების ნაწილმა მიუთითა სამოქალაქო სექტორის მიერ სოციალური სამსახურის მუშაობის კონტროლის აუცილებლობაზე - *„არასამთავრობოებს მეტად რომ ჰქონდეს ეს სფერო აღებული კონტროლზე - კარგი იქნებოდა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*

მსხვერპლები ზოგჯერ სოცმუშაკს ადანაშაულებდნენ მიკერძოებასა და არაკომპეტენტურობაში. *„სოცმუშაკებმა საერთოდ გამაგიჟეს. ბავშვებს ეკითხებიან ისეთი კითხვებით, რომლითაც დედა ყველა შემთხვევაში მოძალადეა. შეიძლება ბავშვს ჰკითხო - დედამ ხმამაღალი საუბარი იცის, თუ მარტო თქვენთან ყვიროდა? შენ უკვე კარნახობ ბავშვს, რა თქვას. ჩემი შვილები სოციალური მუშაკის ხსენებაზე გარეთ გარბოდნენ. ცუდად ხდიდათ მათი კითხვები“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, სენაკი).*

სოციალური მუშაკის ნეგატიურ როლზე ისაუბრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა ოზურგეთიდან. მისი თქმით, სოციალური მუშაკი არაკომპეტენტური იყო და ბავშვებზე ცუდ გავლენას ახდენდა, განაწყობდა ოჯახის წევრების წინააღმდეგ. გამოითქვა ეჭვი, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ოზურგეთში ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ოჯახიდან გამოიყვანოს ბავშვები და მინდობით აღზრდაში გაუშვას, *„რადგან ბავშვების მეურვეობისათვის სახელმწიფო მიმღებ ოჯახს ფულს უხდის“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ,*

ოზურგეთი). მნიშვნელოვანია მსგავსი საკითხების სათანადოდ შესწავლა და შესაბამისი პასუხის გაცემა, რათა არ დარჩეს კითხვები **სოცმუშაკების კეთილსინდისიერებასა** და **სოციალური სამსახურის რეპუტაციასთან** დაკავშირებით.

სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ნაკლებობა, ბევრი საქმე, დაბალი მოტივაცია, ტრანსპორტირების პრობლემა, დაბალი ხელფასები, კადრების გადინება, სოცმუშაკების უსაფრთხოების დაუცველობა რესპონდენტების მიერ **სოციალური სერვისების სუსტ მხარეებად** დასახელდა. ძლიერ მხარედ კი გადამზადებული კადრების არსებობა მიუთითეს. სოციალური მუშაკების უმრავლესობას არაერთი ტრენინგი აქვს გავლილი ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს **სოცმუშაკთა რაოდენობის გაზრდისა და სპეციალიზების აუცილებლობა** - ***„მცირე რაოდენობაა სოციალური მუშაკების, მცირე ანაზღაურებით და ცუდი სამუშაო პირობებით. უნდა იყოს ცალკე სოციალური მუშაკი, ვინც იმუშავებს უშუალოდ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).*** ასევე მათ ისაუბრეს მოძალადის რეაბილიტაციის აუცილებლობასა და ამ მხრივ სოციალური სამუშაოს მნიშვნელობაზე, რადგან მოძალადის გამოსწორების გარეშე ვერ გადაწყდება ძალადობის პრობლემა.

ბოლო დროს გააქტიურდა თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებთან. სააგენტოდან გადამისამართების შემდეგ, თვითმმართველობა ეხმარება მსხვერპლებს. თუმცა, რესპონდენტთა თქმით, **ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის გაუმჯობესება საჭიროა,** რათა მუნიციპალიტეტებში უკეთ გავრცელდეს ინფორმაცია არსებულ სერვისებზე და ერთიანი ძალებით უფრო ეფექტიანად დაეხმარონ მსხვერპლს.

მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია **სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის** შემდეგი **რეკომენდაციების** წარდგენა:

1. საჭიროა სააგენტოს მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასახმარებლად რეალური სოციალური მუშაობის დაწყების აუცილებლობის ადვოკატირება შესაბამისი უწყებების წინაშე, მათ შორის პრევენციული სოციალური მუშაობის დანერგვის, მსხვერპლის საჭიროებების სრულად მოცვის მხრივ და სხვ.;

2. აუცილებელია სააგენტოს არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის უკეთ გავრცელება, მათ შორის, რეფერირების სუბიქტებთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით;

3. მნიშვნელოვანია სააგენტოსა და მისი თანამშრომლების რეპუტაციის, სანდოობის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობის გააქტიურება; საჭიროა არსებული ეჭვებისათვის სრული და გასაგები პასუხის გაცემა;

4. აუცილებელია სოციალურ მუშაკთა, ფსიქოლოგთა რაოდენობის კარდინალურად გაზრდა, რადგან არსებული რესურსით შეუძლებელია მსხვერპლთა რეალურად დახმარება; აგრეთვე სააგენტოსთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადაცემა;

5. სასურველია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა საქმეებზე სამუშაოდ სპეციალიზებული სოციალური მუშაკების განსაზღვრა;

6. აუცილებელია სოციალური მუშაობის დაწყება მოძალადის რეაბილიტაციისათვის, რადგან ამ უკანასკნელის გამოსწორების გარეშე ვერ გადაწყდება ოჯახში ძალადობის პრობლემა.

1.5. ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისები

სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს სათანადო მექანიზმები, ყველა სახელმწიფო და ასევე რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს შორის წარმატებული თანამშრომლობისათვის, მსხვერპლთა დაცვის და მხარდაჭერის მიზნით. სახელმწიფომ ყველა დონეზე რეგულარულად უნდა ჩაატაროს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია ვალდებულებას აკისრებს ხელმომწერ მხარეს, მსხვერპლისათვის უზრუნველყოფილი იყოს მხარდაჭერის სამსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.[101]

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმმართველობის ჩართულობა შედარებით სიახლეა. 2016 წელს ცვლილებები შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა"[102] და საქართველოს კანონში – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"[103], რომლითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა თვითმმართველი ორგანოების როლი ოჯახში ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის კუთხით. **მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ღონისძიებები - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით.**[104]

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შექმნასა და დაფინანსებაში[105]. ამის მაგალითია თელავსა და ზუგდიდში არსებული კრიზისული ცენტრები, რომლებიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანი-

---

101 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 5, 7, 13, 18.2-3, 22

102 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", მუხ. 1 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3195491?publication=0#DOCUMENT:1

103 საქართველოს კანონი „„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" ითვალისწინებდა ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში. მუხ. 1 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3195515?publication=0
ნორმა ამგვარი ფორმულირებით, მოქმედი აღარ არის იხ.: საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხ. 7 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=15

104 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მუხ. 16.4 - https://bit.ly/2NKY2mT

105 იქვე, მუხ. 106^1.1-2

ზაციისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის შედეგად, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გაიხსნა. 2021 წლიდან ამ კრიზისული ცენტრების დაფინანსების ვალდებულებას შესაბამისი ადგილობრივი მუნიციპალიტეტები იკისრებენ.[106]

აგრეთვე, 2021 წლის 1 იანვრიდან, მუნიციპალიტეტს ეყოლება სოციალური მუშაკები, რომელებიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ იმუშავებენ.[107] მათთვის, მოსახლეობასთან სიახლოვის გამო, უფრო მარტივი იქნება ძალადობის ფაქტების გამოვლენა და პრევენცია.[108]

მონიტორინგმა დაადასტურა აღიარებული პრობლემა, რომელიც **მსხვერპლი ქალების საცხოვრისს უკავშირდება**. მუნიციპალიტეტებს ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. სამწუხაროდ, თვითმმართველობაში არსებული სერვისები არ არის ორიენტირებული პრობლემის გრძელვადიან აღმოფხვრაზე და მხოლოდ ერთჯერადი, დროებითი ხასიათისაა. ამ მხრივ მუნიციპალური სერვისის ყველაზე გავრცელებული ფორმა, გარკვეული დროით, ბინის ქირის ანაზღაურებაა. ვადის ამოწურვის შემდეგ მსხვერპლი ქალების საცხოვრებლის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით, თვითმმართველი ერთეულების მიერ საკანონმდებლო სიახლეების დანერგვის და იქ დასაქმებულ პირთა მიერ ახალი რეალობის აღქმის შესაფასებლად, ფონდმა „სოხუმმა“ ჩაატარა მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში.[109] კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში უმჯობესდება ოჯახში ძალადობის პრობლემის აღქმა და მსხვერპლის მიმართ მგრძნობელობა, თუმცა კვლავ რჩება არაერთი გამოწვევა, რაც საგრძნობლად ამუხრუჭებს პროგრესის ტემპს.

---

106 „ძალადობის მსხვერპლთათვის საქართველოში სამი ახალი კრიზისული ცენტრი გაიხსნა“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/01/three-new-crisis-centers-for-survivors-of-violence-open-in-georgia

107 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხ. 65.2 - https://bit.ly/37dzYAO

108 „სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო“, გვ. 236-237 - https://bit.ly/38r0WoU

109 „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თვითმმართველობის როლი და პრაქტიკა (ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი)“ დეტალურად იხ. http://fsokhumi.ge/images/2020/1/public/broshura-iuristi-geo.pdf

მუნიციპალიტეტების როლი მნიშვნელოვანია მსხვერპლისათვის მხარდაჭერის პროგრამების და შესაბამისი სერვისების შექმნისა და განხორციელების თვალსაზრისით. წინა წლებთან შედარებით, პროგრესი აშკარაა. **თვითმმართველობის მიერ მსხვერპლის მხარდაჭერა**, უმეტესწილად, **ერთჯერადი დახმარებით** (მოცულობა განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით) **და ბინის ქირით უზრუნველყოფით გამოიხატება.** უმეტესად, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ცალკე, კონკრეტული პროგრამები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის და მათ სხვა პროგრამების ფარგლებში ეხმარებიან. სერვისები, ძირითადად, მსგავსია, მაგრამ თვითმმართველ ერთეულებს შორის განსხვავება მაინც შეიმჩნევა, ზოგი მეტად ცდილობს მსხვერპლის დახმარებას. ამ მხრივ, ხარვეზების მიუხედავად, ერთ-ერთი მოწინავეა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - ***„პირველები ვიყავით, ვინც დანერგა ერთჯერადი დახმარება მსხვერპლებისათვის და ქირის პროგრამა და ჩვენ ამით ვამაყობთ. ჩვენი პროგრამა გაიზარდა: 2015 წელს გვქონდა 300 ლარი გათვლილი, დღეს თანხა 800 ლარამდეა თითოეულ მსხვერპლზე. ჩვენ არ გვაქვს შეზღუდული თანხები და არ გვაქვს გაწერილი, რამდენი მსხვერპლია ჩვენთვის მაქსიმალური“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელთან, ზუგდიდი).***

კონკრეტული მიზნობრივი პროგრამა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის იშვიათია. როგორც წესი, დახმარება სოციალური პროგრამის ქვეპროგრამებითაა გათვალისწინებული. მსხვერპლი ქალებისთვის სასარგებლოა ზოგიერთ თვითმმართველობაში მცირეწლოვანი ბავშვებისთვის არსებული დახმარებაც, როგორიცაა: ***„კვების უზრუნველყოფა, სადღესასწაულო დახმარებები სურსათით და შეშით უზრუნველყოფა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელთან, ზუგდიდი).*** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სამაგალითოა იმ მხრივაც, რომ ცდილობს გრძელვადიან სერვისებზე გადასვლას. საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით შექმნილი მუნიციპალური სერვისი - კრიზისული ცენტრი ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის 2020 წლიდან მთლიანად თვითმმართველობის დაფინანსებაზე გადავა.

მნიშვნელოვანია **თვითმმართველობის მოხელეთა კომპეტენციის საკითხი.** მათ ნაწილს გავლილი აქვს გადამზადება ოჯახში ძალადობის თემაზე. ტრენინგები, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იმართება, მათ შორის არის ფონდი „სოხუმი“. ამ ტრენინგების შედეგია, რომ დღეს ბევრ მუნიციპალიტეტში დაინერგა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის მხარდაჭერის პროგრამები - ***„ვცდილობთ, გადავამზადოთ ჩვენი თანამშრომლები ამ მიმართულებით და გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია მსხვერპლებთან“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელთან, ზუგდიდი).*** **ცოდნის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობის გაგრძელება აუცილებელია** - ***„ზოგჯერ ეხმარებიან, მაგრამ არ იციან, სწორად როგორ აღმოუჩინონ დახმარება“ (ფოკუს-ჯგუფი ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ მსხვერპლებთან).***

როგორც წესი, თვითმმართველობის მხარდაჭერის სერვისებით სარგებლობისთვის

მსხვერპლს ბევრი ბარიერის გადალახვა უწევს: მას უნდა ჰქონდეს **მსხვერპლის სტატუსი,** უნდა იყოს **რეგისტრირებული კონკრეტულ მუნიციპალიტეტში,** ზოგჯერ, მოეთხოვება **თავშესაფარში ყოფნის დამადასტურებელი საბუთის** წარდგენა (მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტში[110]).

სერვისების ხელმისაწვდომობისათვის არსებული ბიუროკრატიული ბარიერები იმედგაცრუებას იწვევს მსხვერპლში, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება მიმართვიანობის რაოდენობაზე. მუნიციპალიტეტები მხოლოდ იურიდიული მისამართის მიხედვით მათ **ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მსხვერპლს ეხმარებიან.** ***„ეს არის მუნიციპალიტეტის პროგრამა და ემსახურება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა საჭიროებებს. გვქონდა არაერთი მომართვა სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირებიდან, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივასწავლით მათ მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებზე" (ჩაღრმავებული ინტერვიუ მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელთან, ზუგდიდი).***

შესაბამისად, დაინტერესებული პირები ვერ იღებენ დახმარებას იქ, სადაც რეალურად ცხოვრობენ, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა კი დამატებით ძალისხმევასთანაა დაკავშირებული და ხშირად რთულია მათთვის. დახმარების რეგისტრაციის ადგილზე მიბმა პრობლემურია იმ მხრივაც, რომ მსხვერპლი, რომელსაც გამგეობა სთავაზობს ბინის ქირის დაფინანსებას, ხშირ შემთხვევაში ვერ იყენებს ამ შესაძლებლობას, რადგან არ სურს იმ გარემოში დაბრუნება, სადაც არსებობს მოძალადესთან შეხვედრის რისკი.[111] მუნიციპალიტეტების მიერ დანერგილი ასეთი **ფორმალური მიდგომა კრიტიკის საგანია არასამთავრობო სექტორისგან:** ***„ყველა სოციალური პროგრამა ჩაწერაზეა მიბმული და ესეც მექანიკურად „მიაბეს", თვითონაც აღიარებენ, მაგრამ ვერ მოიფიქრეს, როგორ შეიძლება ეს საკითხი გამართონ. მსხვერპლი რომელ მუნიციპალიტეტშია ჩაწერილი, ამას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ის აქ ცხოვრობს და ეკუთვნის მას ამ თვითმმართველობისგან დახმარება. მუნიციპალიტეტებს მარტო გზის გაკეთება და ინფრასტრუქტურის მოწყობა არ ევალებათ, მათი მთავარი ფუნქცია არის ხალხზე ზრუნვა" (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

ასევე, უმეტესად, მუნიციპალიტეტისგან **დახმარების მისაღებად აუცილებელი კრიტერიუმია მსხვერპლის სტატუსის ქონა.** ***„მერიის ძალადობის მსხვერპლის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით ვერ ვისარგებლე, სტატუსი მომთხოვეს და ვინაიდან არ მქონდა, ვერ მივიღე დახმარებაც. მესმის, რომ კანონის ჩარჩოებით მოქმედებდნენ, მაგრამ ადამიანური მომენტებიც უნდა გაითვალისწინონ" (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** ამგვარი ფორმალური ბარიერების არსებობის გამო, **იმედგაცრუებული მსხვერპლი საერთოდ კარგავს ნდობას მხარდაჭერის სისტემის მიმართ:** ***„არ დამეხმარნენ, იმიტომ რომ არც სტატუსი მაქვს და არც თავშესაფარში ვყოფილვარ. ძალიან ვინანე, რომ მერიაში ვიყავი. არც არავისთან ვაპირებ მისვლას, დარწმუნებული ვარ, არაფერ სარგებელს არ მივიღებ" (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

---

110 „ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება" - http://kutaisi.gov.ge/ge/ojaxuri-zaladobis-msxverplta-daxmareba

111 სახალხო დამცველი - ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში, 2018 წ., გვ. 21

უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფომ გააცნობიერა, რომ ეს პრობლემაა და სტატუსის, როგორც ბარიერის, გაუქმებას გეგმავს. **თვითმმართველობამ დამოუკიდებლად უნდა შექმნას ინსტრუმენტი,** კრიზისული ცენტრის მსგავსად, **და თავად დაადგინოს, კონკრეტული ადამიანი ძალადობის მსხვერპლი არის თუ არა.** ეს ნამდვილად გაუადვილებს მსხვერპლს მუნიციპალური მხარდაჭერის მიღებას.

პრობლემაა მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. მსხვერპლთა დიდმა ნაწილმა თქვა, რომ არ იცოდა დახმარების პროგრამების შესახებ. რესპონდენტების უმრავლესობა აცნობიერებდა და ადასტურებდა, რომ **საზოგადოების ინფორმირება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება,** რაც, თავის მხრივ, მსხვერპლისათვის არსებულ სერვისებზე მიმართვიანობის ნაკლებობის ძირითადი მიზეზია. კვლევამ გამოავლინა, რომ თვითმმართველობის სერვისებამდე ბენეფიციარები თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით მიდიან და შემდეგ თავად ცდილობენ ინფორმაციის გავრცელებას - ***„კრიზისულ ცენტრში მოხვედრამდე, მერიას რომ დახმარების პროგრამები ჰქონდა, ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. ახლა უკვე ვიცი. როგორც კი საშუალება მომეცემა, ამის შესახებ ყველას ვეუბნები. იმიტომ რომ ყველა ქალმა უნდა იცოდეს ასეთი ინფორმაცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

მუნიციპალიტეტები **მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა გზით ცდილობენ,** მაგრამ ეს ღონისძიებები ხშირად ეფექტიანი არაა. **პერიფერიულ სოფლებში ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების იმედადაა დატოვებული,** მაგრამ ისინიც ვერ ახერხებენ ყველგან მუშაობას. თვითმმართველობებისადმი მიმართვის რაოდენობა მზარდია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ასახავს მოთხოვნის რეალურ მასშტაბს - ***„ვერც წარმომედგინა, როგორ შეიძლება თვითმმართველობა ჩაერთოს ამ საკითხში. ფონდ „სოხუმში“ ამიხსნეს, რომ შემიძლია მუნიციპალიტეტს მივმართო“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან).*** **მოსახლეობის ინფორმირებისთვის მუშაობა უნდა გაძლიერდეს, თუნდაც სკოლებში, საბავშვო ბაღებში, მერის რწმუნებულების დონეზე.**

ინფორმაციის არქონა და თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობისგან დაშორება უარყოფითად აისახება მათ შორის ნდობასა და პოზიტიური მოლოდინის არსებობაზე: ***„არ ვარ დარწმუნებული, რომ რამეში დამეხმარებიან თვითმმართველობაში, დაინტერესებულიც არ ვარ, თვითმმართველობაზე რამე გავიგო და მათი პროგრამები შევისწავლო“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

არაინფორმირებულობა, უნდობლობა, თავის მხრივ, **კვებავს მავნე სტერეოტიპებს.** რეგიონებში მოსახლეობის ცნობიერების მხრივ ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები. თვითმმართველობებმა მეტი უნდა იმუშაონ, რათა მათი მხარდაჭერის ძიება და მსხვერპლობის აღიარება სირცხვილად არ ითვლებოდეს - ***„დედაჩემს როცა ვუთხარი, მერიაში მივედი დახმარების სათხოვნელად, კინაღამ შოკში ჩავარდა, ძალადობის მსხვერპლი ვარო, ეს როგორ ახსენეო“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

მსხვერპლებმა, რომელთაც თვითმმართველობის სერვისით ისარგებლეს, მადლიერებით აღნიშნეს მათთვის გაწეული გულისხმიერი და კოორდინირებული დახმარება - ***„ძალიან გულისხმიერი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იყო მერის და ასევე სოციალური განყოფილების უფროსისგან“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან,***

ოზურგეთი); „ისე კარგად მომექცნენ. მე არსად არ წავსულვარ, თვითონ გაარკვიეს პოლიციაში, რომ ჩემს სახელზე გამოწერილი იყო ორდერი. ამიხსნეს ყველაფერი და მითხრეს, რომ დამეხმარებოდნენ ბინის ქირით. ისეთი მადლობელი ვარ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ლანჩხუთი). **სწორედ ასეთი უნდა იყოს თვითმმართველობების სტანდარტი - სწრაფი, არაბიუროკრატიული, კოორდინირებული მხარდაჭერა მსხვერპლისათვის.**

თვითმმართველობები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო სექტორთან, როგორც მსხვერპლთა გადამისამართების, ისე თანადაფინანსების გზით ერთობლივი სერვისების დასანერგად. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს - ***„2019 წელს ჩვენ დავაფინანსეთ 10 პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელიც მიმართული იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დასახმარებლად, გასაძლიერებლად. მათ შორის იურიდიული დახმარების, ასევე პროფესიული კურსების შეთავაზების გზით“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელთან, ზუგდიდი).***

თვითმმართველობის მუშაობის ერთ-ერთი **სუსტი მხარეა მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა.** სერვისის ვადის ამოწურვის შემდეგ არ კონტროლდება, თუ როგორ ცხოვრობს მსხვერპლი, რა საჭიროებები აქვს მას. ასევე **მუნიციპალიტეტები ნაკლებად მუშაობენ პრევენციის მიმართულებით.**

გამოწვევას წარმოადგენს **მუნიციპალურ დონეზე კოორდინირების მექანიზმის დანერგვა** და სერვისის მიმწოდებლებს შორის პერიოდიულად ინფორმაციის გაცვლა. ამგვარი მექანიზმის შექმნას ფონდი „სოხუმი“ უწყობს ხელს რეფერირების ადგილობრივ სუბიექტთა პერიოდული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებით. სასურველია, თვითმმართველობებში ასეთი შეხვედრები წესად იქცეს, რაც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა მხარესთან არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ხარვეზების იდენტიფიცირებას.

მსხვერპლი ქალებისათვის მთავარი ეკონომიკური ხელშეწყობა დასაქმებაა. **არსებული ერთჯერადი დახმარება მას რეალურად ვერ გააძლიერებს.** კერძო საწარმოებისგან განსხვავებით, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დასაქმების სისტემის შექმნა - ***„ისეთი ტიპის სამუშაო უნდა არსებობდეს თვითმმართველობაში, სადაც პრივილეგია ექნება ძალადობის მსხვერპლს“ (ფოკუს-ჯგუფი ფონდ „სოხუმში“).*** ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, სათანადო მხარდაჭერის პირობებში, ***„უფრო მარტივია, ფეხზე დადგეს ადამიანი რეგიონში, ვიდრე მაგალითად, თბილისში, სადაც კონკურენცია მაღალია და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა გაცილებით მეტია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

რესპონდენტებმა, საცხოვრებლის პრობლემის სიმწვავისა და თვითმმართველობის დახმარების დროებითობის გათვალისწინებით, თქვეს, რომ მსხვერპლებისათვის დიდი დახმარება იქნებოდა **მუნიციპალური სოციალური საცხოვრისის** სერვისის შექმნა, სადაც მათ უსასყიდლოდ შეეძლებათ ცხოვრება, ვიდრე ამის მწვავე საჭიროება არსებობს და, ქირის გადაუხდელობის გამო, არ ექნებათ ღია ცის ქვეშ აღმოჩენის შიში. ბენეფიციართა აზრით, **თვითმმართველობებში არსებული სერვისები,** რა თქმა უნდა, **არასაკმარისია, მაგრამ მძიმე სოციალურ ფონზე მიზერული დახმარებაც მნიშვნელოვანია.** მათ ძალიან **აწუხებთ კომუნალური გადასახადების ტვირთი,** ასევე ის, რომ ქირით დახმა-

რება მოკლევადიანია - ***„ერთი წლის მერე რა მეშველება. უკვე მეშინია. ზამთარში რომ კომუნალურების თანხაში დამეხმარონ, დიდი შვება იქნება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ლანჩხუთი).***

მიუხედავად მთელი რიგი გამოწვევებისა, წინსვლა მაინც საგრძნობია. თვითმმართველობებისთვის ***„მსხვერპლი აღქმადი გახდა, მანამდე მისი არსებობას თუ არ აღიარებდნენ, ახლა აღიქვამენ მას და მის საჭიროებებს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ სახელმწიფო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან).*** ქუთაისში საგანგებოდ აღინიშნა პიროვნული ფაქტორიც - ვიცე მერი ნინო თვალთვაძე, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა მუნიციპალიტეტში მსხვერპლ ქალთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების საქმეში. რესპონდენტებმა აღნიშნეს ასევე ზუგდიდის მერიის სოციალური სამსახურის უფროსის - გოგი რევიას გულისხმიერება.

მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია, **მუნიციპალიტეტებისათვის** შემდეგი **რეკომენდაციების** წარდგენა:

1. თვითმმართველობებმა პროაქტიურად უნდა იმუშაონ მსხვერპლთა მხარდაჭერის გაუმჯობესების, ადგილობრივ ბიუჯეტში მათი საჭიროებების უკეთ ასახვისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უშუალოდ ხალხის მიერ აირჩევა, რაც მათ დიდ ლეგიტიმაციას ანიჭებს, კანონის შესაბამისად, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები, მათ შორის: გააუქმონ ბიუროკრატიული ბარიერები და მოქნილი, მარტივი კრიტერიუმების დადგენის გზით, გააიოლონ მსხვერპლისათვის სერვისების მიღება;

2. აუცილებელია თვითმმართველობის სერვისების შესახებ ინფორმაციის უკეთ გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში, მათ შორის, რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით;

3. აუცილებელია მუშაობის გააქტიურება მოსახლეობასთან, მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოთა რეპუტაციის გაუმჯობესების და ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობის მოპოვებისთვის. ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევა აშკარად არასაკმარისია, რადგან მუნიციპალური ორგანოები, სამწუხაროდ, არ არიან საკმარისად ახლოს მოსახლეობასთან;

4. აუცილებელია მუშაობის გააქტიურება პრევენციის მიმართულებით, მათ შორის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. ამ მხრივ, სამომავლოდ, თვითმმართველობებში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შემოღება წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს;

5. სასურველია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება მსხვერპლთა საჭიროებების უკეთ გაგებისა და შესაბამისი სერვისების დანერგვისთვის, თვითმმართველობის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

6. საჭიროა მუნიციპალიტეტების ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერება მსხვერპლისათვის საჭირო სერვისების შესათავაზებლად, მათ შორის, კრიზისული ცენტრების, ბავშვზე ზრუნვის დღის ცენტრების შესაქმნელად. ამ მიზნით ასევე შესაძლებელია აუთსორსინგის პრაქტიკის გამოყენება;

7. აუცილებელია, სტანდარტული და საერთო სოციალური პროგრამების ნაცვლად, კონკრეტულად მსხვერპლისათვის განკუთვნილი და მის საჭიროებებს მორგებული პროგრამების შექმნა და განხორციელება; ერთჯერადი დახმარებიდან გრძელვადიან სერვისებზე გადასვლა, მათ შორის: სოციალურად დაუცველ მსხვერპლებზე ზრუნვის და ხელშეწყობის სერვისების გააქტიურება (მაგ., კომუნალური გადასახადების დაფარვა, მსხვერპლი დედების დახმარება ბავშვზე ზრუნვის პროგრამებით, ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის დანერგვა და სხვ.);

8. აუცილებელია, დაიწყოს ზრუნვა მუნიციპალური სოციალური საცხოვრისის პროგრამების შექმნისა და დანერგვისთვის, რადგან თავშესაფრის არქონა ერთერთი მწვავე პრობლემაა მსხვერპლი ქალებისათვის;

9. აუცილებელია მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა, რათა ობიექტურად შემოწმდეს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობა მსხვერპლისათვის და უკეთ გამოჩნდეს ხარვეზები.

1.6. არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები

ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენცია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სერვისების მიწოდების საქმეში ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლსა და სახელმწიფოს მიერ მათი მხარდაჭერის აუცილებლობას, კერძოდ: კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ მხარეს, ყველა დონეზე ხელი შეუწყოს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას და ქმედითი თანამშრომლობა დაამყაროს ამ ორგანიზაციებთან.[112]

კონვენცია საუბრობს სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო სექტორის მატერიალურ და ადამიანურ მხარდაჭერაზეც,[113] ასევე სახელმწიფო ვალდებულია, ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის წარმატებული თანამშრომლობისთვის შეიმუშაოს სათანადო მექანიზმები[114] და ჩართოს სამოქალაქო სექტორი მხარდაჭერის საერთო და სპეციალიზებული სერვისების მიწოდებაში.[115]

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორი ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლის მხარდაჭერის საქმეში პიონერი იყო. სწორედ ამ ორგანიზაციების მუშაობის შედეგია საკითხის წინ წამოწევა და, მეტწილად, მათი აქტიურობის შედეგია არსებული პროგრესიც.

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. ისინი მუშაობენ როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე ადვოკატირების (საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების, ქალების პრობ-

112 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 9

113 იქვე, მუხ. 8

114 იქვე, მუხ. 18.2

115 იქვე, მუხ. 18.2, 20-22

ლემების შესაბამის უწყებებამდე მიტანის და სხვ.), ასევე უშუალოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების (მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცის, იურიდიული დახმარების და ა.შ.) მხარდაჭერის მიმართულებით. არასამთავრობო სექტორის როლი დიდია პრობლემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სახელმწიფო და ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების კუთხითაც.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი შესაძლებელია დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით, კერძო ორგანიზაციის მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.[116] იგივე წესი მოქმედებს კრიზისული ცენტრების შემთხვევაშიც.[117]

საქართველოში ძალადობის მსხვერპლთათვის ერთ-ერთი პირველი თავშესაფარი არასამთავრობო ორგანიზაციამ დააარსა.[118] კრიზისული ცენტრის გახსნაშიც პიონერი არასამთავრობო სექტორი იყო. ბევრი სერვისის დანერგვა საქართველოში იწყებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით და შემდეგ გადადიოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში. შეიძლება ითქვას, ეს ორგანიზაციები მხარდაჭერის ახალი მომსახურების ერთგვარ პილოტირებას, პრაქტიკაში გამოცდას უწყობდნენ ხელს. არასამთავრობოების შემდეგ დაინერგა კრიზისული ცენტრის სერვისი სახელმწიფოს ეგიდით. ამჟამად ქვეყნის მასშტაბით არსებული შვიდი ასეთი დაწესებულებიდან ორი არასამთავრობო ორგანიზაციების დაქვემდებარებაშია,[119] 2021 წლიდან ამ კრიზისული ცენტრების დაფინანსებას ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს.[120]

არასამთავრობო სექტორს აქვს იურიდიული დახმარების სერვისიც. შეზღუდული რესურსების პირობებში ყველა მსურველს ვერ უწევს იურიდიულ დახმარებას და სტრატეგიული საქმეების გამორჩევა უწევს, ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზეა ორიენტირებული. ამ დროს ისინი დახმარების მიღების მსურველებს იურიდიული დახმარების ბიუროსთვის მიმართვას ურჩევენ. თუმცა, საწყის ეტაპზე, როცა სახელმწიფო იურიდიული დახმარება ამ მხრივ ნაკლებად მუშაობდა, არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისმა დიდი წვლილი შეიტანა მსხვერპლი ქალების სამართლებრივი მხარდაჭერით მათი უფლებების დაცვაში.

---

116 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. $17^2.2$

117 იქვე, მუხ. $18^1.2$

118 ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი - http://hrn.ge/content/333?grid=1

119 „კრიზისული ცენტრები - მნიშვნელოვანი მომსახურება ძალადობის მსხვერპლებისთვის“ - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/crisis-centres---an-important-service-for-victims-of-violence

120 „ძალადობის მსხვერპლთათვის საქართველოში სამი ახალი კრიზისული ცენტრი გაიხსნა“ – https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/01/three-new-crisis-centers-for-survivors-of-violence-open-in-georgia

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისი უფრო მოქნილი და ნაკლებად ფორმალურია. ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებს ემსახურება მაშინაც, როცა მათ მსხვერპლის ოფიციალური სამართლებრივი სტატუსი არ აქვთ. დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების არარსებობის გამო ეს სერვისი სასიცოცხლო როლს ასრულებს იმ მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისათვის, რომლებსაც პირველადი და გადაუდებელი დახმარება სჭირდებათ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დასახმარებლად მუშაობს ფონდი „სოხუმიც“. ამ მხრივ ორგანიზაცია ორი მიმართულებით საქმიანობს: პირველი - ოჯახში ძალადობის პრევენცია და მეორე - მსხვერპლის მხარდაჭერა და დახმარება. პრევენცია მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას სხვადასხვა ფორმით: საინფორმაციო შეხვედრები, ვორკშოპები, ტრენინგები.

ფონდ „სოხუმს“ 10 მუნიციპალიტეტში აქვს **ქალთა მხარდაჭერის ცენტრი**[121] და ჰყავს მობილიზატორები, რომლებიც ყოველთვიურად ხვდებიან მოსახლეობას და ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს. აქ ჩნდებიან ბენეფიციარები, რომლებიც გამოთქვამენ თანამშრომლობის გაგრძელების სურვილს. ფსიქოლოგი და იურისტი მუშაობენ როგორც ინფორმირების, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების გაცემის კუთხით. ***„ის, რომ მე დღეს სრულყოფილი ადამიანი ვარ და მე და ჩემი შვილი ვართ ფსიქოლოგიურად მყარად, ეს ფონდი „სოხუმის“ მუშაობის შედეგია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ხონი).***

ორგანიზაციაში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად ფუნქციონირებს **დღის ცენტრი**, სადაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს/ან შესაძლო მსხვერპლს აქვს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვის შესაძლებლობა, მათ შორის: პოლიმერულ თიხაზე მუშაობის, კულინარიის, ჭრა-კერვის გაკვეთილები და საბუღალტრო აღრიცხვის კურსები.

შედარებით ახალი მიმართულებაა ახალგაზრდებთან მუშაობა კომუნიკაციის გაუმჯობესების, კონფლიქტების მართვის, აგრესიის შემცირების მიზნით[122].

---

121 ქალთა მხარდაჭერის ცენტრები არის შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, თერჯოლა, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, წალენჯიხა. ცენტრების დანიშნულებაა ქალთა გაძლიერება, სოციალური, ფსიქოლოგიური, იურიდიული დახმარების გაწევა ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და კრიზისული ოჯახებისათვის.

122 ახალგაზრდებთან მუშაობა მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის (ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, წალენჯიხის, სამტრედიის) სკოლებში, სადაც საინფორმაციო შეხვედრების და ვორკშოპების საშუალებით ახალგაზრდები ეცნობიან გენდერულ და ოჯახში ძალადობის საკითხებს, მსჯელობენ საკუთარ როლზე ძალადობის აღმოფხვრის საქმეში. პროექტმა 2011-2019 წლებში მოიცვა 144 სკოლის 9950 მოსწავლე.

ქვეყნის მასშტაბით გამართულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, 2015 წლიდან ფონდი **„სოხუმი“ ერთადერთი ორგანიზაციაა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც უფლება აქვს, მსხვერპლის სტატუსის მისაღებად რეკომენდაცია გაუწიოს მსხვერპლს უწყებათაშორისო კომისიის ფარგლებში მომუშავე სტატუსის მიმნიჭებელ ჯგუფთან.** მსხვერპლის მხრიდან სტატუსის მინიჭებისათვის მომართვა, ძირითადად, ხდება თავშესაფრის სერვისის მიღებისათვის/გახანგრძლივებისათვის ან სასამართლოში „სტატუსის“, როგორც მტკიცებულების და ოფიციალური დოკუმენტის წარსადგენად. სტატუსის მიმნიჭებელ კომისიასთან რეკომენდაციის გაწევის თხოვნით, ფონდ „სოხუმში“ ძალადობის შესაძლო მსხვერპლს ამისამართებენ სახელმწიფო ორგანოებიდანაც, მათ შორის: ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები და ა.შ.

ფონდი „სოხუმი“ ამზადებს სპეციალურ კითხვარს და ბენეფიციარის საბუთებს (პირადობის, განქორწინების მოწმობების, შემაკავებელი ორდერების და სხვა დოკუმენტების მოწესრიგება), ასევე ორგანიზაციის ფსიქოლოგის მიერ მზადდება ფსიქოლოგიური დასკვნა, რაც ერთვება საქმეს. შეგროვებული დოკუმენტაცია და შევსებული კითხვარი განსახილველად ეგზავნება სტატუსის მიმნიჭებელ კომისიას. ორგანიზაციის იურისტი, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება მსხვერპლის სტატუსთან მინიჭების პროცესში დამატებითი კითხვების საპასუხოდ. 2015 წლიდან დღემდე ფონდ „სოხუმს“ 16 მსხვერპლისათვის აქვს დახმარება გაწეული სტატუსის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ კომისიამ ორგანიზაციის მიერ სტატუსის მინიჭებისთვის წარდგენილი ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

ფონდი „სოხუმისგან“ დახმარების მიღების მსურველისთვის არ არსებობს ბარიერები: ასაკი, სქესი, მსხვერპლის ოფიციალური სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენს დაბრკოლებას. 11 სამიზნე მუნიციპალიტეტის გარდა, ფონდი „სოხუმი“ ცდილობს მოიცვას პერიფერიებიც, ისეთი სოფლები, სადაც არც ერთ ორგანიზაცას უმუშავია - ***„ხონში საერთოდ არ არსებობს არავითარი სერვისი ფსიქოლოგიური ან იურიდიული დახმარების მიღებისათვის. მხოლოდ ერთადერთი ორგანიზაცია, ფონდი „სოხუმი“ ეწევა ასეთ დახმარებას“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ხონი).***

სახელმწიფოს მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების **პერსონალი გადამზადებულია და აქვს სპეციალიზაცია მსხვერპლებთან სამუშაოდ.** რესპონდენტთა მიერ ერთხმად აღინიშნა **თანამშრომელთა კომპეტენტურობა და კეთილგანწყობა.** ხშირია პერსონალის მხრიდან **გულისხმიერი დამოკიდებულების** მაგალითები: ***„ჩვენი იურისტი მიყვა მსხვერპლს ერთ-ერთ დაწესებულებაში და, ასე ვთქვათ, რეკომენდაცია გაუწია ამ ადამიანს. მას არ უწერია ეს ყველაფერი მოვალეობაში, მაგრამ ადამიანური კუთხითაც მსგავსი მხარდაჭერის ფაქტები ხშირად გვაქვს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან, ზუგდიდი).***

მიწოდების სტრუქტურის თვალსაზრისით, განსხვავება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისს შორის თითქმის არ არსებობს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სერვისები **უფრო მოქნილია და არ არის შეზღუდული დროში** - ინდივიდუალური ქეისიდან გამომდინარე, შეიძლება ერთი წელიც გაგრძელდეს მსხვერპლთან მუშაობა. ამდე-

ნად, **არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრები მეტად მორგებულია მსხვერპლის საჭიროებას, ისინი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში **თვითონ წყვეტენ, რამდენი ხნით დატოვონ მსხვერპლი,** რა გააკეთონ მისი სამართლებრივი და სოციალური დახმარების თუ რეაბილიტაციის კუთხით. ***„თვითონ ვწყვეტთ, რამდენი ხანი სჭირდება მსხვერპლს თავშესაფრის სერვისი, როდის არის ის მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ჩვენ ვიცით, რომ მსხვერპლობა არ არის მოკლევადიანი და საკმაოდ დიდხანს მიჰყვება ადამიანს სტიგმა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

სწორედ ამ ბუნებრიობისა და გულითადობის გამო, **მსხვერპლები უპირატესობას არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისს ანიჭებენ**. მათი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები უკეთესი და უფრო მრავალფეროვანია (70%), სახელმწიფო სერვისები კი უფრო ფორმალური და ბიუროკრატიულია (20%). ***„არანაირი ბარიერი არ მქონია. ამ ორგანიზაციამ ჩემი მდგომარეობა გაითვალისწინა და არანაირი დოკუმენტი არ მოუთხოვიათ. თავს ამ ორგანიზაციაში დღემდე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ვიცი, რომ არასამთავრობო უფრო გულით გაუკეთებს მსხვერპლს ყველაფერს. ვისურვებდი, რომ სახელმწიფოსაც ჰქონდეს ზუსტად ის კეთილგანწყობა და ხარისხი, რაც მე აქ მივიღე“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის **პერსონალი ეხმარება მსხვერპლს მისი შესაძლებლობების შესაბამისი კარიერის არჩევაში და ცდილობს, სწორად მართოს მისი მოლოდინები.** ***„ყველაზე დიდი ეფექტი ჩვენს შემთხვევაში აქვს პროფესიული გადამზადების კურსებს. დიდმა ნაწილმა დასაქმებაც მოახერხა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან, ზუგდიდი); „პროფესიის დაუფლების შემდეგ ვმუშაობ და დღეისათვის შემიძლია ვარჩინო ჩემი შვილები, ვარ ეკონომიურად უფრო მყარი და მოძალადის ხელებს არ შევცქერი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

ზოგაგად, **სერვისების შეფასებისას იმ რესპონდენტების 50%-მა, ვისაც ამით უსარგებლია, უპირატესობა არასამთავრობო სექტორს მიანიჭა,** 20%-მა - ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო 30%-მა - სოციალურ სამსახურს. ***„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არასამთავრობოში მართლაც იდეალური გარემოა იმისათვის, რომ დედამ თავისი შვილებით იგრძნოს თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

არასამთავრობო სექტორი იმ მხრივაც გამოიჩევა, რომ ეძებს გზებს მსხვერპლთა უკეთ დასახმარებლად. მათი მუშაობა, ბიუროკრატიულისგან განსხვავებით, **პროაქტიურია და სხვების უკეთ ამუშავებასაც ახალისებს/ხელს უწყობს** - ***„ჩვენ, მაგალითად, თვითონ დავუკავშირდით ადგილობრივ თვითმმართველობას და მოვთხოვეთ მათ, რომ ჩვენი თავშესაფრიდან გამოსულ მსხვერპლებს დაეხმარონ. ექიმებთანაც იგივე გავაკეთეთ და დავაინტერესეთ. ყველამ ყველა უნდა დაინტერესოს და ჯაჭვიც შეიკვრება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელთან, ზუგდიდი).***

სამოქალაქო სექტორის ადვოკატირების უნარი საგანგებოდ აღნიშნეს რესპონდენტებმა, რის გამოც იმედიანად არიან - ***„არასამთავრობოებს აქვთ ავტორიტეტი და გავლენა სახელმწიფოზე. შეუძლიათ მოითხოვონ შენს ნაცვლად, ის გააკეთონ, რისი გაკეთებაც შენ მარტო არ შეგიძლია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ **სასურველია, სახელმწიფომ გამოიყენოს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება,** რადგან ეს უკანასკნელნი ***„სულ სხვა დამოკიდებულებით უყურებენ ყველა პრობლემას (ფოკუს-ჯგუფი ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ მსხვერპლებთან)*** და დანერგოს აუთსორსინგის პრაქტიკა. ეს, ერთი მხრივ, დაზოგავს სახელმწიფო რესურსებს და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს უკეთეს სერვისს - ***„სერვისების მიწოდების კუთხით უნდა იყოს ევროპული მოდელი, რომელიც მოიაზრებს ჯანსაღ კონკურენციას, გამჭვირვალე ტენდერებს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან).***

სერვისების საჭიროების მხრივ, თავშესაფარზე მეტად **კრიზისული ცენტრის გაფართოებისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობა გამოიკვეთა,** მსხვერპლებს მოსწონთ არასამთავრობო ორგანიზაციის კრიზისულ ცენტრში შექმნილი გარემო, უადვილდებათ რეაბილიტაცია - ***„დღეს თამამად ვამბობ, რომ კრიზისულ ცენტრში ყოფნამ სულ სხვა ადამიანად მაქცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი);*** მაგრამ **ბენეფიციარებს სოფლებიდან რეგულარულად სიარული უჭირთ.** ამდენად, კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოება მეტად სასურველია - ***„ფოთში რომ იყოს ასეთი კრიზისული ცენტრი, მე ზუგდიდში არ წამოვიდოდი, ჩემი შვილები იქ არიან და უფრო ხშირად ვნახავდი. მგზავრობა, გადაადგილება ყველაფერი ფულია. იმდენი ანაზღაურება არა მაქვს და ესეც მაბრკოლებს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

სერვისების მიღების კუთხით, **არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის გამოცდილებას რესპონდენტთა უმრავლესობა - 58% აფასებს, როგორც გამოსადეგს და მის საჭიროებაზე მორგებულს.** უარყოფითი კუთხით აღინიშნა, რომ სერვისი იყო ზოგადი და ბოლომდე ვერ დაეხმარა (12%), ხოლო 10%-ს და 6%-ს, შესაბამისად, მიაჩნია, რომ არასამთავრობოების სერვისი ძალიან ხანმოკლე და მათ საჭიროებას ნაკლებად მორგებული იყო.

არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების სუსტ მხარედ რესპონდენტებს მიაჩნიათ: პროექტებზე დამოკიდებულება და გრძელვადიანი მხარდაჭერის პრობლემა. **ძლიერ მხარედ** კი სანდოობა, გულისხმიერება, კონფიდენციალურობა და დაცულობის შეგრძნება დასახელდა ***(ფოკუს-ჯგუფი ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ მსხვერპლებთან)***.

რესპონდენტებს ჰქონდათ **რეკომენდაციები არასამთავრობო სექტორის მიმართ**. სირთულეს წარმოადგენს ბავშვებისათვის სერვისების ნაკლებობა - ***„კარგი იქნება, რომ მოხდეს ძალადობის მსხვერპლი ქალების შვილების გადამზადების დღის ცენტრის შექმნა, სადაც მათ ექნებათ საშუალება, დატოვონ ბავშვები სკოლის ან ბაღის შემდეგ და მათ მოამზადებენ საგნებში და დედაც მშვიდად იქნება სამსახურში“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემა არის მატერიალური სიდუხჭირე, ბინით უზრუნველყოფა ან/და დასაქმება. ამ მხრივ ითხოვენ სერვისების გააქტიურებას, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან არსებული პრობლემების გადაწყვეტის ადვოკატირებას სახელმწიფოს წინაშე.

მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია **არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის** შემდეგი **რეკომენდაციების** წარდგენა:

1. აუცილებელია, არასამთავრობო სექტორმა გააააქტიუროს აუთსორსინგის პრაქტიკის გამოყენების ადვოკატირება შესაბამისი ორგანოების წინაშე. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ზოგიერთი სერვისის განხორციელება გაცილებით ეფექტიანი და ეკონომიური იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში;

2. აუცილებელია, არასამთავრობო სექტორმა, მსხვერპლის სხვა საჭიროებებთან ერთად, უფრო მწვავედ დააყენოს სახელმწიფოს წინაშე ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი დახმარების მოთხოვნა, როგორიცაა სოციალური საცხოვრისი, რადგან თავშესაფრის არქონა არ გახდეს მსხვერპლის მოძალადესთან დაბრუნების მიზეზი;

3. არასამთავრობო სექტორის სერვისებს მეტი ნდობა და ცნობადობა აქვს მსხვერპლთა შორის, თუმცა საჭიროა საინფორმაციო კამპანიების გააქტიურება, რათა მეტ სავარაუდო მსხვერპლამდე მივიდეს ინფორმაცია მათი უფლებებისა და არსებული სერვისების შესახებ;

4. სასურველია კრიზისული ცენტრის გაფართოება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, რადგან ჯერ კიდევ რჩება ადგილები რეგიონებში, სადაც ქალები მხარდაჭერის სერვისების გარეშე რჩებიან;

5. სასურველია სერვისების გამრავალფეროვნება მსხვერპლთა საჭიროებაზე უკეთ მოსარგებად, მათ შორის, ბავშვზე ზრუნვის დღის ცენტრების სერვისის შეთავაზება დასაქმებული დედებისთვის და სხვ.

თავი IV

სერვისების სისტემის წინაშე არსებული საერთო გამოწვევები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევამ ნათლად აჩვენა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარების სისტემის წინაშე არსებული საერთო გამოწვევები.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ყველა მსხვერპლი ინდივიდუალურია, მათ განსხვავებული ისტორია, ფსიქოემოციური რესურსი და ამტანობა აქვთ. სერვისების გამწევ ნებისმიერ სუბიექტს მათთან ინდივიდუალური და მაქსიმალური სენსიტიურობის გამოჩენა მართებს. გამოიკვეთა, რომ მსხვერპლებს **სჭირდებათ მხარდაჭერა, იმის შეგრძნება, რომ მარტო არ არიან**, რადგან აქვთ თვითშეფასების და გამბედაობის ნაკლებობის პრობლემა - ***„ყველაზე მთავარი იყო ის, რომ მე ვნახე - მარტო არ ვიყავი, ძალა ვიგრძენი და იმედი მომეცა. მე მითხრეს, რომ ამაში სამარცხვინო და დამამცირებელი არაფერია და ათასობით სხვაა ჩემს დღეში და მგონი, იმ პერიოდში პირველად ავწიე თავი მაღლა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, თერჯოლა).***

გამოიკვეთა, რომ **ნებისმიერი სერვისის მიწოდებისას, მთავარი არის მსხვერპლის ფსიქოემოციური მხარდაჭერა:** ***„ხშირად ჩვენ ვართ ჩვენი ბენეფიციარების ფსიქოლოგები, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტთან).***

გამოიკვეთა, რომ **ქალებს უჭირთ მსხვერპლობის აღიარება,** ხოლო აღიარების შემდეგ უახლოესი გარემოცვის **მხარდაჭერის მიღება,** რასაც მწვავედ განიცდიან. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები მათ მარტოს ტოვებს - ***„მე რომ მსხვერპლი ვიყავი, ამას ვერავის ვუხსნი. ჩემი არავის ესმის, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად ვხვდებოდი, რომ საკუთარი არაფერი გამაჩნდა. არ მესმის, ჩემნაირი ქალები რატომ არ ითვლებიან ძალადობის მსხვერპლად? მაინცდამაინც უნდა მოგკლან?“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** მათ არ აქვთ დაცულობის, სოციალური მხარდაჭერის შეგრძნება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სისტემის ხარვეზებზე მსჯელობისას, აღსანიშნავია, რომ იგი **ვერ მუშაობს პრევენციის მიმართულებით** და, ძირითადად, **რეაგირების რეჟიმშია.** გამოვლინდა, რომ არსებული სერვისები, უმთავრესად, მიმართულია ფიზიკური ძალადობის მსხვერპლისკენ, ოჯახური **ძალადობის სხვა ფორმებისადმი ადეკვატური მიდგომის ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა საგრძნობია.** ეს, ზოგადად, სახელმწიფოს და ბიუროკრატიის პრობლემაა, ის ადრე თუ გვიან სწავლობს, როგორ ებრძოლოს კონკრეტულ პრობლემას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს ამ მიმართულებით, მაგრამ გამოწვევად რჩება მოქნილობა, მობილურობა, სხვადასხვა ტიპის მსხვერპლის მიმართ მიდგომების ცვალებადობა და ადაპტაცია, რათა ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლს ისე არ მოექცე, როგორც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლს. დადგენილი სტანდარტები და გაიდლაინები, ერთი მხრივ, ჩარჩო წესებს ადგენს, თვითნებობას გამორიცხავს და გარკვეულ დონეზე დაბლა დაშვების რისკებს აზღვევს, მეორე მხრივ, მოქნილობას უშლის ხელს და ბიუროკრატიულ-რიგიდულად აქცევს სისტემას. გამოსავალი ალბათ მუდმივ განვითარებასა და სრულყოფისაკენ სწრაფვაშია.

ქალ მსხვერპლებს **სერვისებამდე მისვლასა** და დახმარების თხოვნაში **ბევრი წინააღმდეგობა უშლით ხელს** - ***„ბევრი კიდევ ვერ ბედავს და არ იცის, რა გააკეთოს. ბევრს კიდევ არ სჯერა, რომ ვინმე რამეში დაეხმარება. სიმორცხვეც არის, ბევრს რცხვენია, მაგალითად, მერიაში მისვლა და იმის აღიარება, ძალადობის მსხვერპლი რომ არის“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ხონი).*** იმ მიზეზებს შორის, რის გამოც მსხვერპლები არ მიმართავენ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სერვისების გამწევ

რომელიმე ორგანოს[123], მთავარ მიზეზად დაახლოებით 66%-მა უნდობლობა დაასახელა, დამატებით მიზეზად ითქვა მორიდება (59%), სხვა ქალების უარყოფითი გამოცდილება („ვინც მიმართა, ნორმალურად ვერავის დაეხმარნენ“ – 25%). სხვა რელევანტურ ფაქტორებს შორის დასახელდა: ტერიტორიული სიშორე (41%), საჭირო დროს ინფორმაციის არქონა (36%), მენტალიტეტი, საზოგადოების წინააღმდეგობა, ოჯახისგან მხარდაჭერის არქონა, მსხვერპლის სტატუსის საჭიროება, სამართალდამცავებთან ურთიერთობისთვის თავის არიდება და სხვ. დიდი განსხვავებაა სოფლად და ქალაქად მცხოვრებ ქალებს შორის. სოფლად მცხოვრებ ქალებს კიდევ უფრო უჭირთ სერვისებამდე მისვლა, მათ გასაძლიერებლად, რეგიონებში ინფორმაციის გასავრცელებლად მეტი ძალისხმევის გაწევაა საჭირო.

კვლევისას ასევე **გამოიკვეთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მსხვერპლების დაუცველობა** - ***„იქ, სადაც მე ვცხოვრობდი, აფხაზეთში, ამ პრობლემას არანაირი ყურადღება არ ეთმობა, იქ იურიდიული არაფერი არ არსებობს, არც ადამიანის უფლებები არ არის“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).*** ასევე დევნილ ქალებს ბარიერები ექმნებათ სერვისების მიღებისას. მათი სტატუსის გამო, უწევთ დამატებით სამინისტროსთვის მიმართვა.

მეტ-ნაკლებად, **ყველა სერვისის მხრივ გამოვლინდა ინფორმირების ნაკლებობა** - ***„პირველ რიგში, დავაყენებდი ინფორმირების საკითხს. მე რომ სწორად ვყოფილიყავი ინფორმირებული, ბევრ სტრესს გადავრჩებოდით მეც და ჩემი შვილიც“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

გამოიკვეთა, რომ მსხვერპლი ქალი თითქმის არასდროსაა მარტო, მისთვის შეთავაზებული სერვისები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მასზე დამოკიდებული პირების არსებობას და **სერვისები დედა-შვილის ინტერესს ერთიანი მიდგომით უნდა ასახავდეს.** ძალადობაგამოვლილი ქალების შვილებს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ. ***„ამ ქალებს ჰყავთ შვილები, რომლებიც ისევე არიან დაზარალებულები, როგორც ეს ქალები. მე მაგალითად - ჩემი შვილის სახელითაც ვლაპარაკობ“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** **არსებითი მნიშვნელობისაა ამ ქალებისთვის ისეთი სერვისის შემუშავება, რომელიც მათი სამუშაო დროის განმავლობაში ბავშვზე ზრუნვას შესთავაზებს.**

ყველა სერვისის შემთხვევაში, განსაკუთრებით **სახელმწიფო სერვისების კუთხით, არსებობს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა**. „ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, უმეტეს შემთხვევაში, სოფლებში ცხოვრობენ. შესაბამისად, მსხვერპლისათვის საჭირო სერვისების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში. ***„სახელმწიფო სერვისები იცით, როგორ არის, ბრმასავით ხელისცეცებით უნდა იარო, რომ რამეს მიაგნო. ყველაფერი დიდ ქალაქებშია, პერიფერიებში კი არაფერი არ არსებობს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, სენაკი).***

მსხვერპლის **მხარდაჭერის სერვისებისთვის უკეთ ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,** რესპონდენტების 76%-ს უმთავრესად მიაჩნია სერვისების გამრავალფეროვნება და გახანგრძლივება, მნიშვნელობის თვალსაზრისით, მეორე და მესამე პასუხად, შესაბა-

---

123 ამ კითხვაზე რესპონდენტებს პრიორიტეტისა და მნიშვნელობის მიხედვით 3 მიზეზის გამოყოფა შეეძლოთ.

მისად, დასახელდა ინფორმაციის უკეთ გავრცელება სერვისების/დახმარების პროგრამების შესახებ (66%) და ტერიტორიული დაფარვის გაფართოება (48%). რესპონდენტები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალისათვის ყველაზე საჭირო დახმარებად მიიჩნევენ: საცხოვრებელ ადგილს (52%), დასაქმებას (36%) და ბავშვების მოვლის სერვისით უზრუნველყოფას - 28%.

გამოიკვეთა, რომ **არსებული სერვისები არ არის საკმარისი მსხვერპლთა ბოლომდე გასაძლიერებლად და მათ მოსამზადებლად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.** ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მსხვერპლის მოძალადესთან დაბრუნებას. ***„ბევრს არ ესმის ეს. მე არ მიკვირს, რადგან ეს გადაწყვეტილება ფიქრის მერე მოდის, როცა ხედავ, რომ გვერდში არავინ გიდგას, შემოსავალი არა გაქვს, სახლი არა გაქვს და ვერ იმუშავებ პატარა ბავშვებთან ერთად. არავინ არ დაიჯეროს, რომ ამ ქალებს უხარიათ სახლში დაბრუნება მოძალადესთან, ან მისი გამოსწორების იმედი აქვთ, უბრალოდ, სხვაგან ვერ მიდიან და მეტი გზა არა აქვთ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი); „ჩემი მეგობარი გოგო ისევ შეურიგდა ქმარს, იმიტომ, რომ სხვა საშველი ვერ მონახა. უკეთესობა რომ ენახა, უარესობაში არ დაბრუნდებოდა“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).*** მსხვერპლი ქალებისთვის **აუცილებელია განგრძობადი და კოორდინირებული სერვისები** - ***„მაგალითად, დღის ცენტრმა გადაამზადა, დაასაქმა, ხელისუფლებამ ასეთი ადამიანებისთვის სხვა სერვისი უნდა შექმნას, რათა არ შეწყდეს მსხვერპლის დახმარება“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ზუგდიდი).***

არსებული ტრადიციებისა და სტერეოტიპების გამო, მსხვერპლ ქალთა უმრავლესობას არ გააჩნია უძრავი ქონება. მათთვის **არსებითი პრობლემაა საცხოვრისის საკითხი.** სახელმწიფომ და თვითმმართველობამ არა მხოლოდ თავშესაფრით ან ბინის ქირით დახმარებით, არამედ უფრო კომპლექსური მიდგომით უნდა გადაჭრან ეს საკითხი და **შესთავაზონ ასეთ ქალებს სოციალური საცხოვრისი.**

გამოკითხულმა რესპონდენტებმა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნეს **არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები**. ეს ორგანიზაციები **ნაკლები რესურსებით უფრო ეფექტიანად ახერხებენ მსხვერპლის დახმარებას.** გამოკითხულ მსხვერპლთა უმრავლესობა, არჩევანის შემთხვევაში, უპირატესობას არასამთავრობო ორგანიზაციის უფრო გულითად და არაფორმალურ სერვისს მიანიჭებდა. გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოც ენდობა არასამთავრობო სექტორს და სარგებლობს მისი რესურსებით, როცა თავად არ შეუძლია მსხვერპლის დახმარება. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სასურველია, სახელმწიფომ მეტად შეუწყოს ხელი არასამთავრობო ორგანიზაციებს მსხვერპლისათვის სერვისების მისაწოდებლად, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპონდენტებმა გამოწვევად დაასახელეს მოძალადეთა რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობაც, რაც ხელს უშლის ძალადობის პრობლემის სისტემურ მოგვარებას და მსხვერპლის უსაფრთხოებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ***„მარტო „ციხეში გაუშვი“ არ არის საკმარისი, ისევ ისეთი გამოვა, ან უფრო მეტად გაბრაზებული ცოლზე, იქ რომ გაუშვა. მოძალადესაც სჭირდება რეაბილიტაცია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

არსებული სერვისები რესპონდენტთა 50%-ის მიერ შეფასდა დადებითად (რეალურად დამეხმარა, გავძლიერდი). 30%-ის აზრით, სერვისები ვერ უზრუნველყოფს მსხვერ-

პლის მხარდაჭერასა და გაძლიერებას, ხოლო 20% ფიქრობს, რომ არასაკმარისად უზრუნველყოფს. რესპონდენტების 70%-ის აზრით, მსხვერპლის მხარდაჭერის პროგრამების და შედეგის გაუმჯობესებისთვის ყველაზე მეტად საჭიროა დაფინანსების და რესურსების გაზრდა, ხოლო 30%-ის აზრით - ინფორმაციის უკეთ გავრცელება სერვისების შესახებ.

საბოლოოდ, ყველა შემთხვევაში, გამოჩნდა, რომ უამრავი არსებული ბარიერის მიუხედავად, ძალადობაგამოვლილი ქალები მაინც საკუთარი სიმამაცის ხარჯზე აღწევენ თავს ძალადობას, მაგრამ მათ გამარჯვებისთვის აუცილებლად სჭირდებათ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერა - ***„მე თვითონ მოვიკრიბე ძალები. რაც არ უნდა ეცადონ გარედან, თუ შენ არ შეუწყვე ხელი - ძალიან ძნელია. მეც ძალიან გამიჭირდა. მარტო, ბავშვებთან. ძალიან რთული პერიოდი გამოვიარე ფსიქოლოგიურად, ემოციურად, მაგრამ მე ეს შევძელი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსხვერპლთან, ქუთაისი).***

●

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი **რეკომენდაციების** წარმოდგენა, რომელთა შესრულებაზე სახელმწიფომ და სერვისების ყველა მიმწოდებელმა ერთიანი ძალისხმევით უნდა იმუშაონ:

1. **სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახურების, მსხვერპლის უფლებების შესახებ ინფორმაციის უფრო ფართოდ და ეფექტიანად გავრცელება** - განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ამის მწვავე დეფიციტია და მსხვერპლი ქალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დარჩენას უწყობს ხელს;

2. **ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მუშაობის გააქტიურება** - აუცილებელია გაძლიერდეს ძალისხმევა მოსახლეობაში გენდერული სტერეოტიპების დანგრევის, ოჯახში ძალადობის პრობლემისა და მსხვერპლისადმი სენსიტიურობის ასამაღლებლად;

3. **სერვისების მიღების გზაზე ბარიერების მოხსნა** - დახმარების მისაღებად მსხვერპლის ოფიციალური სტატუსის, როგორც ბარიერის, გაუქმების დაჩქარება ყველა დონეზე, რათა ფორმალურმა პროცედურებმა არ დააბრკოლოს ქალი და არ შეუშალოს ხელი მისთვის აუცილებელი დახმარების მიღებაში;

4. **თვითმმართველობის მხარდაჭერის პროგრამების გენდერული სენსიტიურობის ამაღლება** - მუნიციპალიტეტისგან დახმარების მისაღებად უნდა მოიხსნას ფორმალური მოთხოვნები და შეიცვალოს ბიუროკრატიული მიდგომა პრობლემისადმი. მსხვერპლი ქალები დახმარებას უნდა იღებდნენ საცხოვრებელ ადგილზე, მაქსიმალურად სწრაფად და მარტივად;

5. **კოორდინირების მექანიზმის დანერგვა** - სასურველია, ადგილობრივ დონეზე მოქმედ რეფერირების სუბიექტებსა და სერვისის მიმწოდებლებს შორის პერიოდული შეხვედრების, ინფორმაციის გაცვლის, გამოწვევებთან გასამკლავებლად საერთო მიდგომის ჩამოსაყალიბებლად გამართული სისტემის დანერგვა, მაგალითად, მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული საბჭოს ეგიდით;

6. **სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა -** მხარდაჭერის სამსახურები მსხვერპლისათვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და სერვისის კონკრეტულ გამწევამდე მიღწევა არ უნდა იწვევდეს დიდ ფინანსურ ხარჯებს, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ყოველდღიურად მგზავრობა ტრანსპორტის არარსებობის ან/და მისი ფასის გამო;

7. **დამოუკიდებლად ცხოვრების საწყის ეტაპზე მსხვერპლთა განსაკუთრებული მხარდაჭერა -** მეტი უნდა გაკეთდეს მსხვერპლის თვითშეფასების, ფსიქიკური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და ემოციური მხარდაჭერისათვის, რათა მან ნამდვილად დაძლიოს „მსხვერპლის სინდრომი“ და გაძლიერდეს;

8. **განგრძობადი და კოორდინირებული სერვისების დანერგვა -** მსხვერპლის დახმარება არ უნდა წყდებოდეს სერვისის ვადის ამოწურვისთანავე და უნდა ითვალისწინებდეს ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებას, რომელიც კოორდინირებულად, „ერთი ფანჯრის პრინციპით“ უნდა მიეწოდოს;

9. **თავშესაფრის სერვისის გახანგრძლივება -** სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობის არსებული ვადა (მაქსიმუმ 9 თვე) არ არის საკმარისი მსხვერპლის სრულად რეაბილიტაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. სასურველია, ვადის ორ წლამდე გახანგრძლივება;

10. **მონიტორინგის გამართული მექანიზმის დანერგვა -** სერვისის ვადის ამოწურვის შემდეგ ეფექტიანად ვერ კონტროლდება და ფასდება შედეგი. აუცილებელია სისტემიდან გასულ მსხვერპლთა მდგომარეობის, მათ წინაშე არსებული გამოწვევების ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება;

11. **მსხვერპლთათვის სოციალური საცხოვრისის შეთავაზება -** არსებული პატრიარქალური ტრადიციის გამო, მსხვერპლი ქალების უმრავლესობას არ აქვს საკუთარი უძრავი ქონება, საცხოვრისი. ეს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რასაც ვერ აგვარებს ერთჯერადი დახმარება ან დროებით ბინის ქირის გადახდით დახმარება;

12. **მსხვერპლზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის სერვისის შეთავაზება -** მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც წესი, მხოლოდ დედის პასუხისმგებლობის ქვეშ არიან და ამასთან თავად არიან მსხვერპლები. შესაბამისად, აუცილებელია ფსიქოემოციური რეაბილიტაციის და მათზე ზრუნვის დღის ცენტრების უზრუნველყოფა, რაც ქალებს დასაქმების საშუალებას მისცემს;

13. **სახელმწიფო ბაგა-ბაღის უზრუნველყოფა ორ წლამდე ბავშვებისათვის, სახელმწიფო ბაღების გრაფიკის გახანგრძლივება -** მცირეწლოვანი ბავშვებისთვის უფასო ბაღის არარსებობისა და დასაქმებული დედის გრაფიკზე მოურგებლობის გამო, მსხვერპლი ქალები, მძიმე სოციალური პირობებშიც კი, მოკლებულნი არიან დასაქმების შესაძლებლობას;

14. **პროფესიული გადამზადებისას მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა** - ძალადობის მსხვერპლ ქალთა უმრავლესობა საშუალო ან არასრული საშუალო განათლების მქონეა, რაც მათ არაკონკურენტულს ხდის შრომის ბაზარზე. ამასთანავე, კვალიფიკაციის გაუმჯობესებისათვის საჭირო დროის გამოძებნა მათთვის რთულია მწვავე ფინანსური საჭიროების გამო. გადამზადების პროცესში სტიპენდიის უზრუნველყოფა მსხვერპლს საშუალებას მისცემს, მშვიდად იზრუნოს პროფესიულ წინსვლაზე;

15. **მსხვერპლთა სოციალური დახმარება** - მსხვერპლი, როგორც განსაკუთრებული საჭიროების მქონე, მეტად უნდა იყოს სოციალური დახმარების პროგრამების ადრესატი. მიზნობრივი დახმარების პროგრამებში დამატებით კრიტერიუმად გათვალისწინებული უნდა იყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლობა. მნიშვნელოვანია მხარდაჭერა, მათ შორის: კომუნალური გადასახადების დაფინანსების, ბავშვთა კვების პროგრამებით;

16. **პრევენციული სოციალური მუშაობის ასამოქმედებლად საჭირო ღონისძიებების დაჩქარებულად განხორციელება** - სახელმწიფო რეაგირების რეჟიმიდან უნდა გადავიდეს პროაქტიურ მოქმედებებზე. აუცილებელია სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა, მათი გადამზადება და, სასურველია, სპეციალიზაციის განსაზღვრა ოჯახში ძალადობის საქმეებზე;

17. **მოძალადის რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა** - მოძალადის ფსიქოსოციალური გაჯანსაღების გარეშე შეუძლებელია ოჯახური ძალადობის პრობლემის აღმოფხვრა და მსხვერპლის დაცულობის უზრუნველყოფა;

18. **რიგი სახელმწიფო სერვისების განხორციელების დელეგირება არასამთავრობო ორგანიზაციებზე** - აუთსორსინგი საშუალებას იძლევა, ნაკლები რესურსით უკეთესი სერვისი მიეწოდოს მსხვერპლს.

მსხვერპლთა ისტორიები

ძალადობის ქრონიკა

„კონფლიქტი ოჯახში მას შემდეგ დაიწყო, რაც მე მუშაობა დავიწყე. საშინელი ეჭვიანია და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა: გვიან რატომ მიდიხარ, ადრე რატომ მოდიხარ. ვის გვერდით ზიხარ. ასე რატომ გაცვია. ახლა რომ ვაცნობიერებ, ძალადობის მსხვერპლი ბევრად უფრო ადრე ვიყავი, უბრალოდ ამას არ აღვიქვამდი ძალადობად. დედამთილის და მამამთილის მხრიდანაც ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ვიყავი. შემდეგ ცემაზე გადავიდა. სახლიდან წამოსვლის შემდეგ შვილებთან არ მალაპარაკებდნენ, ჩემ წინააღმდეგ ამხედრებდნენ."

ფსიქოლოგიური ძალადობა

„ჩემს მეუღლეს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა, ვიყავი ძალიან ცუდად, ჩემი თავი არ მიჭირდა... იმ დროს ბავშვი იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ბავშვს აქვს ნანახი ისეთი სურათი, რამაც მის ფსიქიკაზე იმოქმედა. ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოსული მდგომარეობიდან, აქვს მეხსიერებაში ჩავარდნები. ემოციის ფონზე ღამეები არ ეძინა. ჯობდა მეუღლეს ვეცემე, ვიდრე მას ჩემთვის გაეკეთებინა ის, რაც მე გადავიტანე."

ფიზიკური ძალადობა

„დედამთილის და მაზლისგან ფსიქოლოგიური ძალადობის, დამცირების და შეურაცხყოფის მსხვერპლი ვარ. მაზლი მოტყუებით დაეპატრონა ჩვენი კუთვნილი სახლის ნაწილს, ყოველი მისი სიმთვრალე - ეს კი საკმაოდ ხშირია - მთავრდება ჩემი შეურაცხყოფით, დღემდე განაგრძობს ჩემს მიმართ ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც პერიოდულად ფიზიკური ტერორის ნიშნებს იძენს. საშინელებაა, როცა შენს თავს ეკითხები „ნუთუ ეს არასოდეს არ დამთავრდება? ნუთუ ეს ყოფილა შენი ბედისწერა?" არაფერი გიხარია, უმწეობისგან და დაუცველობისგან გეტირება."

ძალადობა ბოროტებაა!

ეკონომიკური ძალადობა

„14 წელი ვითმენდი ფიზიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სისტემატიურ ძალადობას მეუღლის მხრიდან. მე და ჩემ შვილებს მუდმივად გვაკლდა საჭმელი, ტანსაცმელი და სხვა საჭიროებები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მუდმივად ხდებოდა, ბოლო რამდენიმე წელი კი ფიზიკურად მისწორდებოდა, შვილების არ ერიდებოდა და მათ წინაშე მცემდა, ბავშვებსაც ცუდად ექცეოდა, ხშირად სვამდა და ნასვამი წიხლებით შემდგებოდა. ჩემი 11 და 13 წლის გოგონები შემსწრეები იყვნენ ყველაფერი ცუდის, რაც შეიძლება დაენახათ ასეთ მცირე ასაკში. უფროს გოგონას აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები, ნერვიული ტიკები.“

ფიზიკური ძალადობა

„ჩემმა სიძემ ბავშვს ყური ჩამოუხია, იმიტომ რომ მოთხოვა თბილისში ტურნირზე წასასვლელი სამგზავრო ფული. ბავშვი წარმატებულია ფეხბურთში და კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მამას კი არ უნდოდა, ხარჯი გაეწია მისი სპორტული მომავლისათვის და მოთხოვა სპორტის თავის დანებება, ბავშვის უარის შემდგომ კი მას ფიზიკურად გაუსწორდა და სამუდამო ტრავმა დაუტოვა - ყურზე დიდი შრამი აქვს მამის სახსოვარი. ძალადობის გამო, ბავშვებს უძილობა ჰქონდათ, ჩემს ქალიშვილს კი - შიშები.“

ფსიქოლოგიური ძალადობა

„ჩემი ქმარი მთელი სამი წელი ჯერ სიტყვიერად და მერე ფიზიკურად ძალადობდა ჩემზე, მემუქრებოდა იარაღით, მაშანტაჟებდა, რომ ბავშვს წამართმევდა. სახლიდან წამოსვლის შემდეგ, სანამ პოლიციით არ მივედი, ბავშვი ვერ ვნახე. ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაში იყო ჩემი სამი წლის შვილი, ერთ დღეს მითხრა - ხომ არ დამტოვებო? წარმოიდგინეთ, განა მარტო მე ვიყავი ძალადობის მსხვერპლი?! რას ერჩოდნენ სამი წლის ბავშვს, რომელსაც უმტკიცებდნენ - დედამ მიგატოვა, არ მოვა, ბოროტია, არ უყვარხარ... დღემდე, როცა სახლიდან გავდივარ, ბავშვს შიში აქვს, ხომ არ ვტოვებ, არადა, ექვსი წლისაა უკვე. სამუდამოდ დამისტრესეს ბავშვი.“

არა - ძალადობას!

„ძალიან მაწუხებს ძალადობრივ ოჯახებში გაზრდილი ბავშვების საკითხი. ძალიან ცოტა კითხულობს მათ ამბავს. მე საბავშვო ბაღში ვმუშაობ, როგორც მეტყველების თერაპევტი, გეუბნებით, ყველას სჭირდება ფსიქოლოგი და ლოგოპედი. ლოგონევროზი, ენის ბორძიკი - ასეთი ოჯახების ბავშვების უმეტესობას აქვს. მეტი წილი ბავშვები ბულერები გვყავს ასეთი ოჯახებიდან, სახლში რომ უყურებენ დედამამის კონფლიქტს, სხვა წევრების კონფლიქტს, მათზე ცუდად მოქმედებს. ჯანსაღი სოციუმი არ აქვს ბავშვს.“

ფიზიკური ძალადობა

„იმის გაცნობიერება, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ვიყავი, უცებ არ მომხდარა. თუმცა, როდესაც ფიზიკურად შეხება დაიწყო და ვნახე, ჩემი და ჩემი შვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ამის მიხვედრა ძნელი არ იყო. ჩემი მეუღლე ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირი იყო. კონფლიქტები და აგრესია თანდათან გადაიზარდა ფიზიკურ ანგარიშსწორებაში. ამას ბავშვი ხედავდა. არავინ ერიდებოდა მის გრძნობებს. ბავშვისთვის ფსიქოლოგი დამჭირდა, გაუთავებელი მოვარდნები და მუქარები ესმოდა და ხედავდა. ძალიან ცუდად იყო ამის გამო.

მე რომ განვაცხადე ჩემი მეუღლის მოქმედების შესახებ, ათი დღე დასჭირდათ მის დასაკავებლად. ამ პერიოდის განმავლობაში სრულიად დაუცველი, მუდმივ შიშში ხარ. მე, მაგალითად, ეს პერიოდი სახლიდან ვერ გავდიოდი, ვერც სამსახურში ვიარე. მეორე - რომც გამოსცენ შემაკავებელი ორდერი, ეს ყველაფერი მხოლოდ ფურცელზე დაწერილია. პიროვნებას თუ უნდა, რამე დაგიშავოს - ვერაფერი შეუშლის ხელს. ეს ჩემს პირად მაგალითზე ვნახე და ჩვენ თითქმის ყოველდღე გვესმის ამის მაგალითები, ცუდი დასასრულით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ წუთიდან, როცა პოლიციაში განაცხადებ, ყველას ესმოდეს, რომ შენი უსაფრთხოების საკითხი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუ მოძალადის სწრაფი იზოლირება არ მოხდა.

ძალადობა ბოროტებაა!

ეკონომიკური ძალადობა

„მე რომ მსხვერპლი ვიყავი, ამას ვერავის ვუხსნი. ჩემი არავის ესმის. ცამეტი წელი ისე ვიცხოვრეთ მე და ჩემმა ქმარმა, არ მაგდებდა არაფრად. არ მამუშავებდა. ბავშვს მიხედე, ერთი ქალი ოჯახს სჭირდებაო. ფულს როცა ტოვებდა, უნდა ამეხსნა, რაში დავხარჯე, თუ დავხარჯავდი, მერე იწყებოდა, რა სისულელეებში ხარჯავ, არაფერი შენ არ იცი. მეუღლეს კიდევ გავუძლებდი როგორმე, მარტო ის რომ ყოფილიყო. მყავდა მული, გაუთხოვარი. ბავშვი რომელ სკოლაში უნდა შესულიყო, რა ჩაეცვა, თვითონ წყვეტდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად ვხვდებოდი, რომ საკუთარი არაფერი გამაჩნდა. არანაირი უფლება არ დამრჩა. გარდა იმისა, რომ უნდა ვყოფილიყავი მორჩილი და ყოველდღე უნდა მომესმინა, რომ არაფერი მე არ ვიცი. გავაცნობიერე, რომ საკუთარი თავი დავკარგე, რობოტივით დამაპროგრამეს და ზუსტად ისე ვიქცეოდი, როგორაც მეტყოდნენ. ბავშვის წინაშეც მამცირებდნენ და პატივისცემას ვკარგავდი, ეს უკვე იყო კულმინაცია. დედაშენი შტერია, ეს რას გაჭმევს, ეს რა ჩაუცვია. მერე ბავშვიც ივივე ტექსტებით მელაპარაკებოდა. ეს არ არის ძალადობა?! ეს ცემაზე მეტია. ასე გავხდი სრულიად უუფლებო ჩვარი, რომელსაც ოჯახში არავინ არაფრად არ აგდებდა. ამას დაემატა ისიც, რომ თურმე პარალელურად სხვა ქალი ჰყავდა. ამასაც უნდა შევგუებოდი და მეც სხვებივით უნდა მეთქვა, მერე რა მოხდა... აი, მაშინ უკვე გადავწყვიტე, ოჯახიდან წამოვსულიყავი. ბავშვს ხელი მოვკიდე და წამოვედი დედასთან, რომელიც დღემდე მეუბნება, რომ უნდა მომეთმინა. წარმოიდგინეთ, დღემდე ვერ გაიგეს, რატომ დავტოვე ოჯახი.“

სექსუალური ძალადობა

„14 წელი ვიცხოვრეთ ერთად მე და ჩემმა მეუღლემ. პატარა კონფლიქტები სულ გვქონდა, მაგრამ ამ კრიზისებს რადაცნაირად თავს ვართმევდი. ბოლო ხუთი-ექვსი წელი სრული ჯოჯოხეთი იყო ჩემს ცხოვრებაში. მიზეზი იყო ნარკომანია. ვიყავი ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლი, საკუთარ თავზე გამოვცადე სექსუალური ძალადობაც. რა ხდებოდა ჩემს თავს, ამის გახსენებაც მზარავს. ბოლო კულმინაცია იყო, როცა სიგარეტის ნამწვავებს ტანზე მადებდა და თმებში მქაჩავდა. ასეთი საშინელება მხოლოდ კინოში შეიძლება ნახოს ადამიანმა! როცა ამ ყველაფერს ვიხსენებ, საკუთარ თავზე ვარ გაბრაზებული. რატომ, რისი გულისთვის ვითმინე?! რატომ მეგონა, რომ ყველაფერი მალე ჩაივლიდა. მერე უკვე საბოლოოდ ვუთხარი ჩემს თავს, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, ან მე თვითონ მოვიკლავდი თავს, ისე მქონდა ნერვები, ან ჩემი ქმარი მომკლავდა, ესეც არ იყო გამორიცხული. როცა პოლიცია ვახსენე, მოკვლით დამემუქრა.“

არა - ძალადობას!

ფსიქოლოგიური ძალადობა

„ყველანაირი ძალადობის მსხვერპლი ვიყავი. იყო სექსუალური ძალადობაც. ვერაფერში ვერ ვრიგდებოდით მე და ჩემი მეუღლე. დათვრებოდა და სულ გვაწიოკებდა. ამის შესახებ იცოდა ოჯახში ყველამ, არავინ არ იყო ჩემს მხარეს. რამდენჯერმე წამოვედი ოჯახიდან ბავშვიანად. ისევ შეგვარიგებდნენ. მაინც არ გამოსწორდა. პათოლოგი ლოთი და ეჭვიანი იყო, მუდმივი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ვიყავით მე და ჩემი შვილი. ჩემს შვილსაც ჰქონდა მუდმივი შიში, რომ მამა მომივარდებოდა და მომკლავდა, ბავშვს ჰქონდა ნერვიული ტიკები, ღამით უძილობა.“

სექსუალური ძალადობა

„საერთოდ არ ვიცი, კარგი ცხოვრება რას ნიშნავს. დაქორწინებიდან სამ თვეში დაიწყო დალევა, რასაც მოყვა აურზაური ოჯახში. ყვირილი და გინება ჩემთვის ისეთი ჩვეულებრივი ამბავი იყო, რეაქციაც კი არ მქონდა. მალე ცემაზეც გადავიდა. ყველაფერზე ჩხუბობდა. როცა შევხედავდი, რომ მთვრალი შემოდიოდა სახლში, ბავშვს ვიკავებდი ხელში, რომ თავი დამეცვა. მერე ესეც არ ჭრიდა. ბავშვთან ერთად შეეძლო რამე ესროლა, დაერტყა. არავისთან არ მითქვამს, ვერ ვბედავდი. ამის გამო ოჯახს ხომ ვერ დავანგრევდი. მეორე ბავშვზე საშინელი ფეხმძიმობა მქონდა, სუსტად ვიყავი. მოსვენების საშუალებას არ მაძლევდა. ერთხელ შუადღეს ჩამძინებია. ყვირილმა გამომაღვიძა, ხის ჯორკო მესროლა, მართალია, არ მომხვედრია, მავრამ შიშისგან გული წამივიდა. გონზე რომ მოვედი, წიხლებს მირტყამდა. მეორე ბავშვი პრობლემური დაიბადა, ეპილეფსიური გულყრები აქვს. ერთხელ ნასვამი მოვიდა, ცემაზე გადმოვიდა, პირდაპირ თავში მირტყამდა, ნეკა თითზე ისე მიკბინა, რომ ძვალიც გადაჭმული მქონდა, გონება დავკარგე ტკივილისგან, არაფერი მახსოვს. თურმე ჩემმა დამ გამოიძახა სასწრაფო და არც ის ვიცოდი, რომ პოლიციაც მასთან ერთად მოდის. მერე გავიგე, რომ ჩემი ქმარი დაუკავებიათ. ექიმებს ვუთხარი, ძალადობის დროს გამოქცევა დავაპირე და თითი კარებში მომყვა-მეთქი. ალბათ დაიჯერეს, ყოველ შემთხვევაში მეტი არაფერი უკითხავთ. პოლიციასთან საერთოდ არ მითქვამს, ვუთხარი, პირველი შემთხვევა იყო, სხვა დროს არ უძალადია-მეთქი. საბუთი გამოწერეს, ორდერი რო ჰქვია, მე მგონი, არც ვიცი, ხელი რაღაცას მოვაწერე, მართლა არ მახსოვს, იმ დროს არაფრის შევრძნება არ მქონდა. ჩემი ოჯახის თანადგომით, წამოვედი ქმრისგან.“

ფიზიკური ძალადობა

ძალადობა ბოროტებაა!

ფსიქოლოგიური ძალადობა

„მამა რთული ხასიათის ადამიანი იყო. სულ კონფლიქტი ჰქონდა დედასთან. ყველას გვეშინოდა. სულ დანით დაგვდევდა, რომ დათვრებოდა. ჩემთვის ძალადობა და კონფლიქტი ჩვეულებრივი ამბავი იყო. 18 წლის მომიტაცეს. ძალიან მინდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ დედამ მკაცრად გამაფრთხილა, მამაშენის ამბავი ხომ იცი, ჯერ მე მომკლავს, მერე შენ და მერე ამ ბიჭსაც ყელს გამოჭრისო. სახლში ისეთი ჯოჯოხეთი მქონდა, მამის გადამკიდეს, ვიფიქრე, აქ მაინც ვიპოვი სიმშვიდეს, ჩემი ოჯახი მექნება-მეთქი. სულ ერთი წელი გაგრძელდა კარგად ყოფნა. მალე კინკლაობა დაიწყო, ყველაფერზე მეაგრესიულებოდა. მეც ფეთქებადი ვარ, არ ვუთმობდი, ისიც უკან არ იხევდა და ეგრევე ცემაზე გადავიდა. მეორე ბავშვზე ექვსი თვის ფეხმძიმედ ვიყავი, სახლში მთვრალი მოვიდა, მაგრად ვიჩხუბეთ, ბოლოს ხელი მკრა და კედელს მიმანარცხა და შუა ზამთარში გარეთ გამომაგდო. დედამთილიც მის მხარეს იყო, სიმთვრალეში შენ აგიჟებ ძალითო. გუდაურში, საშინელ ყინვაში, მუხლამდე თოვლში ვიარე ტაქსის გაჩერებამდე და თბილისში მამას მივადექი. საშინელი ტკივილები მქონდა, ბავშვი ექვსთვიანი დაიბადა, მეც ძალიან ცუდად ვიყავი, ფეხის ფრჩხილები მოყინული მქონდა და მძვრებოდა. მამა ძალიან მეხმარებოდა, რასაც არ ველოდი. ქმარს მისთვის პატიება უთხოვია, მთვრალი ვიყავი და აწი არ განმეორდებაო. საავადმყოფოდან ისევ ჩემს ქმართან წავედი. ცოტა მოჭკვიანდა, მაგრამ მალევე აურია. ისევ ივიე დაიწყო. ექვსჯერ მყავს ამ პერიოდში გამოძახებული პოლიცია. გამოწერდნენ ორდერს, ცოტა ხანი კარგად იყო, მერე ისევ ივიე იწყებოდა თავიდან.

თითქოს გაბედული ვიყო ვარ, თითქოს ყველაფერი შემიძლია, მაგრამ ამ დროს ადამიანს თურმე ვონება არ ეემორჩილება და სულ ვვონია, ამის მერე ეს ყველაფერი არ განმეორდება. ბოლოს უკვე ვატყობდი, რომ თუ არ დავამთავრებდი ამ ჯოჯოხეთში ცხოვრებას, ან თავს მოვიკლავდი, ან უბრალოდ გავგიჟდებოდი. ინტერნეტთან დავჯექი, შევისწავლე ყველანაირი ინფორმაცია, როგორ მოვხვედრილიყავი თავშესაფარში და საკუთარი თავი და შვილები გადამერჩინა. მივედი პოლიციაში და განვაცხადე, რომ ვიყავი ძალადობის მსხვერპლი, არ მქონდა გასაქცევი და თუ სადმე არ წამიყვანდნენ აუცილებლად თავს მოვიკლავდი. ასე მოვხვდი თავშესაფარში.“

ფიზიკური ძალადობა

არა ძალადობას!

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ოფისის და
ქუთაისის სათაო ოფისის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები:

ეკატერინე გამახარია
ლელა ხათრიძე
ემა კამკია
ხათუნა გოგუა
თეა გოლეთიანი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: (431) 27 13 68
599 40 51 46

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/

გამოიცა გერმანიის
საერთაშორისო
ორგანიზაციის
მხარდაჭერით

Brot für die Welt
Brot für die Welt –
Evangelischer
Entwicklungsdienst

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს